ართველთა სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

№ 206 ოთხშაბათი, მარტის 28 (9) 1918 წ.

თბილისი

139

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელები პარიზს ყუმბარებს უშენენ.—კავკასიის ფრონტზე ოსმალებმა ქალაქი ვანი დაიკავეს.—ტრაპიზონს გაემგზავრა მაჰმადიანთა საგანგებო დელეგაცია.—საქართველოს ეროვნულმა საბჭომ რეზოლიუცია გამოიტანა, რომ ბათომისა და მისი რაიონის დათმობა ყოვლად შეუძლებელია.

[illegible]

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზე დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 8 ხაზის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (კ. [illegible] „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 8.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

გულდათუთქულნი მშობლები: მაკრინე ივანეს ასული, ვასილ იოსების ძე, ძმები: პეტრე და ალექსანდრე, დები: ეფროსინე და ანეტა, რძალი: ქსენია სოლომონის ასული, სიძეები: ნიკო გრიგოლის ძე ღლონტი, მაქსიმე ალექსანდრეს ძე ჩიქობავა, ძმისწულები და დისწულები, ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს უსაყვარლესი სიცოცხლით სავსე

გრიგოლ ვასილის ძე თოფურიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 მარტსა, ამა თვეს, დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 6 საათზე. 360

სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის სამხედრო საბჭო აუწყებს ამხანაგებს, რომ ბრძოლაში ჩაქვასთან მოკლული ამხანაგი

ელიზბარ ზაქარიას ძე ჭინჭველაძის

აკრძალვა მოხდება 29 მარტს. მიცვალებულის ცხედარის გამოსვე ბა იქნება პანაშვიდის შემდეგ ქვაშვეთის ეკლესიიდან პეტრე-პავ ლის სასაფლაოზე. 1129 2

გულდათუთქული და ღრმა დამწუხრებული მშობლები ზაქარია ივანეს ძე და ნინო ზურაბის ასული ჭინჭველაძენი შვილებით. გიორგი თავის მეუღლით, არჩილი, ირაკლი მეუღლით, თათიკო, ლუარსაბი, და თამრიკო, [illegible] მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ბათომიდან ჩამოასვენეს გვამი ბრძოლის ველზე მოკლულის ძვირფასი შვილის

ელიზბარისა

პანაშვიდი 28 მარტს საღ. 6 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. დაკრძალვა პეტრე პავლის სასაფლაოზე 29 მარტს. 1130

ღრმად დამწუხრებული დედა ნამეტი ძმები: ისიდორე, ტიტიკო, ილია, მოსე, დათიკო და კარლო, დები: ელისა, ანეტა და თამარ, რძლები: მარო, პაშა და ფუცუ თალაკვაძენი სიძე დათიკო შარაშიძე, ბიძა სიმონ ჯაყელი ბიძაშვილები: მარიკო, მაღლენა, მარსელი, შალვა და კატუშა ჯაყელი აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგებს, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა ტფილისის კომერციული სასწავლებლის მოწაფე

მიშა სილოვანის ძე თალაკვაძე

პანაშვიდი პარასკევამდე მიხეილის საავათმყოფოს სამლოცველოში საღამოს 5 საათზე. პარასკევს ბინაზე ზახარიევის ქუჩა № 5. გასვენება შაბათს 31 მარტს ანჩის ხატის ტაძარში დილის 10 საათზე დასაფლავება წმიდა ნინოს სასაფლაოზე კუკიაში. 362

29 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი ტრაგიკულად მოკლულის „ლესნიის"

ალექსანდრე ლევანის ძის აბაზაძის

სულის მოსახსენებლად, რისაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულდათუთქულნი მეუღლე მისი ნინო გრიგოლის ასული. აბაზაძე შვილებით და ძმა ნიკოლოზ ლევანის ძე აბაზაძე ოჯახითურთ. 363-2

ქართული კლუბი

ხუთშაბათს 29 მარტს 1918 წ.

ქართველ მსახიობთა მიერ ეფ. **მესხის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა

ღალატი

მონაწილეობენ: ქ. ქ. ეფ. მესხი, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, თ. გოგოლაშვილი, ა. ჩხეიძე; ბ. ბ. ე. აბაშიძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. კორიშელი, ნ. გვარაძე, ი. ქიქიძე, ნ. ციციშვილი და ი. თარალაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. 1071



დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ბაღთან, საკუთ. ახლად შენებ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19—80.

დღეს, 28 მარტს და ხვალ 29 ს გაიმართება

გალა-სპორტი

სამი განყოფილებისაგან და 18 ნომრით. წარმოდგენილი იქნება: „იაპონიის ამოსავალი მზე", შეასრულებს ხასაკიტისანი, „სიკვდილის ჯვარი" და სხვა. მონაწილეობენ: ძმ. ვინჩენკო, „ადამიან-ბუზები", დე-ლა-კაზო, სალტომორტალისტი კოზეფი, პეტრე ელიზაროვი, ვ. ალმაზოვა, დუმაკოვი და სხვა.

ანონსი: მზადდება არტისტების დღესასწაული. 361

პურის ბარათები

ორშაბათიდან, 26 მარტიდან ყველა უბნის სასურსათო ბიუროში გაიცემა

პურის ბარათები აპრილისათვის.

პურის ბარათები მიეცემა სასურსათო ბარათის (შაქრის) წარდგენის შემდეგ.

პურის ბარათების დარიგების დროს ახალი სერიის სასურსათო ბარათების (აპრილის, მაისის, ივნისის) მიცემა დროებით წყდება.

სახლის კომიტეტებმა კეთილ ინებონ და თავის დროზე მიიღონ სახლის ორგანიზაციის წევრებისათვის პურის ბარათები.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

პურის და სხვა ბარათები მიეცემა მხოლოდ სახლის კომიტეტებს

იმ მოქალაქეებს, რომელთაც ჯერ არ აურჩევიათ სახლის კომიტეტები, კეთილ ინებონ და საჩქაროდ აირჩიონ ასეთები.

1128 ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

ტფილისი, 28 მარტი 1918 წ.

მამულისათვის.

ტრაპიზონმა კვლავ დაილაპარაკა. მავთულმა ცნობა გადმოგვცა, რომელსაც მოველოდით ოსმალეთის იმპერიალისტებისაგან. მტერი სალტეთი შემოერტყა ჩვენს ქვეყანას, აღარ არის ჩვენს განკარგულებაში არც არზრუმი, არც არტაანი, არც ბათომის 1914 წლის სახელმწიფო საზღვრის ხაზი. ამ მდგომარეობამ კიდევ მეტი სითამამე მისცა ოსმალეთის იმპერიალისტებს და ამიერ-კავკასიის მთავრობას ულტიმატუმით, გადაჭრილ კითხვებით ელაპარაკება და არა იმ სინდისის ენით, რომლითაც დაიწყო ტრაპიზონის მოლაპარაკება.

მტერს სურს სამშვიდობო მოლაპარაკებას თავი გაანებოს და ითხოვს დაუყონებლივ დავცალოთ ჩვენი მამული, ჩვენი სახლკარი. გუშინწინ საღამოს გავიდა უკანასკნელი საათი ოსმალეთის წინადადებისა; დილით, როდესაც ვეხებით ამ საკითხს, ჩვენ კიდევ არ ვიცით, რას მოგვიტანს პირდაპირი მავთული, ომს გამოაცხადებს ოსმალეთი თუ მშვიდობიან ცხოვრებას დავიწყებთ. ჩვენი მიზანი იყო ხალხი განთავისუფლებია ომის საშინელებისაგან, ჩვენ არ გვინდოდა და არც გვინდა ომი, ჩვენ ვიცით, რომ ომი საერთოდ საზოგადოებრივ მყუდროების, ჩვენ ვიცით პასუხისმგებლობა ომისა, ზრმები არ ვართ, რომ არ ვიცნობდეთ ჩვენი ხალხის აწინდელს საჭიროებას, სხვა და სხვა სიძნელეს, რომელიც წინ გვეღობება. ყველაფერს ვითვალისწინებთ, მაგრამ თვით ხალხის ინტერესი, მისი აწმყო, მომავალი, ჩვენი სიცოცხლე ჩვენგან მოითხოვს მამულისათვის თავის დადებას, ბრძოლას სამშობლოისა და რევოლიუციისათვის.

ოსმალეთის ულტიმატუმი მუქარაა ამიერ-კავკასიისათვის. მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ქართველ ხალხში არის ძალა და სიყვარული მამულისა, არის ხელუხლებელი ციხეები—ყარსი და ბათომი, რომელიც ოსმალეთის დამშეულ და ფილაჯო ჯარს ღირსეულ პასუხს მისცემს ყოველ წუთში. ჩვენ არ შეგვიძლიან სამარცხვინო ზავს ხელი მოვაწეროთ. ბრძოლა ჩვენი სკოლა უნდა შეიქმნეს მოქალაქეობრივ და ეროვნულ თავისუფლების მოსაპოებლად. ხალხმა შესძლო მოისხნა რუსეთის დესპოტიზმის ალაგმა და ეს ხალხი კიდევ უფრო ადვილად მოახერხებს ოსმალეთის დესპოტიზმის ალაგმასაც. სამშობლოსა და თავისუფლებისათვის გაღებული მსხვერპლი უკანასკნელი ხარჯია თავისუფლების დასამკვიდრებლად. ჩვენ არ გვეშინიან ამ მსხვერპლის და გავიღებთ მას სამშობლოსა და რევოლიუციისათვის.

საქართველოს დემოკრატიას მართებს განაგრძოს ბრძოლა შეიარაღებისათვის, ყოველი კუთხე დიადი საქართველოსი ეროვნულ გრძნობით ანთებულ ქართველ ჯარებით უნდა აივსოს და თამამად მიჰყვეს ეროვნულ რევოლიუციონურ მიზნით გამსჭვალულ სარდლებს. ვინც რევოლიუციის და სამშობლოს ერთგულია, ის ქართველ დემოკრატიას გვერდში ამოუდგება, ამიერკავკასიის ერებმა უნდა სთქვან, რომ მოცდა და გულზე ხელების დაკრეფა შეუძლებელია. თუ გვინდა ერთობა, ამ ერთობისათვის ბრძოლა უნდა გვინდოდეს, თუ გვინდა თავისუფლება, საჭიროა ვიცოდეთ, რომ ამ თავისუფლებას ემუქრება ოსმალეთი და მას ძალით უნდა შევებრძოლოთ.

ყველაზე დიდი [illegible] მთავრობას მართებს. მთავრობის სისუსტე რევოლიუციას და მამულს დაღუპვის კარამდე მიიყვანს. ყოველ მხრივ უნდა მოვემზადოთ ომისათვის, ყველა ძალა, ეროვნული და მეზობლებისა უნდა ჩავაყენოთ რაზმებში და ამით გავცეთ პასუხი ოსმალეთის დიპლომატიის ულტიმატუმს.

ბათომს ვერ დავთმობთ!

რევოლიუციის სანგრები ხიფათქვეშ არის, ქართველი რევოლიუციონური დემოკრატიის თხრილებში უკვე დატრიალდა თოფისწამლის სუნი, თავისუფლების პოზიციებზე უკვე აღიმართა ცივი ზარბაზნები და უკვე განემზადნენ ცეცხლიანი ენის ასამოძრავებლად.

რევოლიუციისა და ქართველი ერის დემოკრატიის მცხოვრებმა აშკარად და წილად ჩამოფარებლივ ქარქაშიდან ამოიწოდეს მახვილი სასიკვდილო ჭრილობის მისაყენებლად.

ოსმალეთის ფაშები მოითხოვენ ბათომის ოლქის დაცლას და მათთვის გადაცემას. ოსმალეთის დესპოტები ეუბნებიან ამით ქართველ დემოკრატიას: ამოიგლიჯე გული, შენისავე ხელით დაითხარე თვალები, მოიჭერ მარჯვენა. ჯანსაღი და ძარღვიან მშრომელ ხალხს, რომელმაც რაინდული და თავგანწირული ბრძოლით, უმანკო სისხლის დაღვრით მოიპოვა თავისუფალი ცხოვრების უფლება, თავხედური კილოთი უბრძანებენ: დასწვი და გაანადგურე ის კვარცხლბეკი, საცა უნდა აღემართა შენი ბედნიერებისა და შვების ტაძარი, მიაფურთხე ნაკუწ-ნაკუწ აქციე ხასხასა წითლად მოელვარე დროშა, შენის სისხლის ზღვაში რომ არის ამოვლებულია.

ჯერ კიდევ ორიოდე სიტყვა დარჩა სათქმელი ოსმალოს ფაშებთან. ამის შემდეგ ქართველ დემოკრატიასა და ოსმალეთს შორის სალაპარაკო აღარა იქნება რა. დიპლომატების ენის ნაცვლად უნდა ალაპარაკდეს დემოკრატიის შურისმაძიებელი თოფზარბაზნები და ტყვიის მტყორცნელნი.

ქართველი დემოკრატია უსიტყვოთ, მონურად, ლაჩრულად ვერ დასთმობს თავის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას, მუხლს არ მოიყრის ფაშების წინაშე, რადგანაც ძლიერია და ყოვლად შემძლე მშრომელი ხალხის მძულვარება და ზიზღი მონობისა და დესპოტიზმისადმი. იმიტომ კი არ გაუწირავს დემოკრატიას მეტად ძვირფასი მსხვერპლი რუსეთის მონობის დასაღუპად, მიტომ კი არ უკვნესიათ მწარედ ერის თავდადებულ რჩეულ შვილებს ციხე-კატორღაში, რომ ეხლა უბრძოლველად, მორჩილად დავიდგათ ოსმალეთის ბარბაროსობის უღელი. დემოკრატიის წინაშე ორი გზაა—ან დამორჩილება ან ბრძოლა. იქვის გავლებაც კი დანაშაული და ღრმა შეურაცყოფა იქნება ქართველი მშრომელი ხალხისა, რომ იგი ყოყმანს დაიწყებდეს ამ არჩევანში და ბრძოლას არ არჩევდეს მონობას.

მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს ამ შემთხვევაში, ერთად-ერთი გზა, ერთი არჩევანი—ბრძოლა. დემოკრატიის შესამე შეუბღალავმა სინიდისმა, მისმა ნაწრთობმა შეგნებამ უნდა უკარნახოს, რომ საჭიროა ბათომის მიდამოებში დაიღვაროს მისი სისხლი თუ კი გვინდა სამერმისოდ მაინც ვიქონიოთ იმედი აღორძინების, წელში გასწორებისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის წარმოების.

დემოკრატიამ ერთის პირით უნდა სთქვას ხმა მაღლა: ბათომს ვერ დავთმობთ, ბათომს ჩვენს სიცოცხლეს შევწირავთ.

ნურავის იმედი ნუ ექნება, რომ დემოკრატიას ვინმე ეყოლება დამხმარე ზურგზე ამ ბრძოლაში, ნუგეშის მიმცემი. ოსმალეთი რევოლიუციის მოსასპობად, გასაცამტვერებლად მოდის და ვინ ეყოლება დემოკრატიას მოკავშირე რევოლიუციის დაცვაში? არავინ. მაგრამ ეს სიმბოლე [illegible], ეს მარტოობა სასახელოა, იმედის მომცემი, გამარჯვების საწინდარი. დემოკრატია ობლად იბრძოლებს, მაგრამ ამან სასო არ უნდა წარუკვეთოს, იმედი არ წაუქროს, ვინაიდან დემოკრატიის მოკავშირეა მისივე ძლევამოსილება, ურღვევი სურვილი რევოლიუციის გამარჯვებისა, ფოლადის ნებისყოფა.

ბათომის დაცვა რევოლიუციის დაცვაა, ბათომის გადარჩენა დემოკრატიის დახსნა განსაცდელისაგან. დეე სამუდამოდ ჩაკვდეს ეჭვი და ყოყმანი, სხვა გზების ძიება. სამარცხვინო [illegible] მათ, ვინც სასიკვდილოდ განმზადებულ რევოლიუციონურ რაზმებში შეიტანს ყოყმანსა და იჭვნეულებას.

რევოლიუციონერი არ ჰფიქრობს დამარცხებაზე. თვით ბრძოლა სანახევრო გამარჯვებაა.

ბათომს ვერ დავთმობთ, თუ გინდ კოკისპირული ცეცხლის წვიმა წამოვიდეს. დეე მტრის ლაშქარმა გაჰკვეთოს წითელი დროშა რევოლიუციისა, მაგრამ ამავე მახვილმა ჩვენი გულიც უნდა გაჰგმიროს.

ეს სიკვდილი საამო იქნება ჩვენთვის.

მ. ხაჭარელიძე.

ზავის გარშემო

ორშაბათს საღამოს 8 საათზე გაიმართა ეროვნული საბჭოს საგანგებო კრება. განსახილველი იყო საზავო დელეგაციისაგან მიღებული ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები. სხდომა გაგრძელდა ღამის მესამე საათამდის და შემდეგ ერთხმად გამოტანილი იქმნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა ცნობა ოსმალეთის დელეგაციის წინადადების შესახებ, ეროვნული საბჭო აცხადებს, რომ ბათომის და მისი მხარის დათმობას იგი არავითარ შემთხვევაში არ დაეთანხმება და მთელის თავისი ძალღონით იბრძოლებს მის შესანარჩუნებლად.—თავდაცვის გასაძლიერებ-

ლად ეროვნული საბჭო საჭიროდ სთვლის აღიაროს, რომ სიტყვიერი თუ წერილობითი აგიტაცია თავდაცვის და მობილიზაციის წინააღმდეგ დღევანდელ საბედისწერო მომენტში მას მოღალატეობად მიაჩნია და ასეთ მოღალატეობის ჩამდენთა წინააღმდეგ სასტიკ ზომების მიღებას მოითხოვს.

ომი

კავკასიის ფრონტი. 25 მარტი. ზღვის სანაპიროებზე ქორობის გადასავალის სამხრეთით 24 მარტს მზვერავთა მოქმედებაა. აჭარის წყლის რაიონში 24 მარტს მთელი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგე საარტილერიო ბრძოლას აწარმოებდა.

სარიყამიშის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა შეუტიეს და დაიკავეს ვერიშენი და ბაშიკეი, რომელიც ახალსელიმის ჩრდილო-დასავლეთით არის.

შატილოვი.

კავკასიის ფრონტი. 26 მარტი. ზღვის სანაპიროებზე, ქორობის რაიონში სროლაა თოფებით და ტყვიის მფრქვეველებით. სოფ. კიბეს რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ორპაზენ-სარტის მთისკენ დაიხიეს. ჩაქვის რაიონში, ლაშის-თავის დასაკავებლად გაგზავნილმა ნაწილებმა გარეკეს აჭარლები პოზიციებიდან და, გზა რომ განაგრძეს რედუტი შეხვდათ, საიდანაც სროლა აუტეხეს. ჩვენმა მსროლელებმა იერიში მიიტანეს და დაიკავეს რედუტი, ხოლო შემდეგ აჭარლებმა კონტრ-იერიშით გამორეკეს ისინი. სარიყამიშის მიმართულებით 24 და 25 მარტს ოსმალებმა შეუტიეს ჩვენს ნაწილებს, რომელთაც ბრძოლით უკან დაიხიეს ახალ სელიმის აღმოსავლეთით. 24 მარტს იმ ნაწილებმა, რომელნიც ქურთების წინააღმდეგ იყვნენ გაგზავნილი და ჯელაუსის რაიონში მოქმედებდნენ, დაიკავეს სოფლები ვორონცოვკა და რომანოვო, რომელთა წინ ჩვენს ნაწილებს ქურთები შეხვდნენ რიცხვით 2000, სამი ზარბაზნით. ქურთებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს და ამის გამო ჩვენები შეჩერდნენ დასახელებული სოფლების ხაზზე.

პარიზი. 27 მარტი ეიფელის კოშკიდან. ოფიციალური ცნობა. დღეღამის განმავლობაში გერმანელები შეტევას აწარმოებდნენ ლლეტის ჩრდილოეთით. კატუსის მიდამოებში ფრანგები მოწინავე რაზმები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ, შეაჩერეს მტრის ძლიერი ძალები და საგრძნობი ზიანი მივაყენეთ მათ. სომა—მონდიდიე ნოიკომის ფრონტზე საგულისხმო არაფერი მომხდარა. არტილერიის მოქმედება ძლიერად გაძლიერდა ორივე მხრით მტერი შემოიჭრა ვოგეზებში, ტეტ დი-ფოს ჩრდილოეთით. ფრონტის დანარჩენ ნაწილზე ერთი-ერთი სროლაა.

პეტროგრადი. 26 მარტი. ცარსკოე სელოს რადიო-სადგური. ცნობები პრესისათვის არაფერი გვაქვს.

კონსტანტინეპოლი. ოსმანიის რადიო-სადგური. პალესტინის ფრონტი მტრის ხშირი შემოტევა ჩვენ მოვიგერიეთ ცეცხლის საშუალებით კონტრ-იერიშით.

კავკასიის ფრონტი. ცხარე ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავიკავეთ ქალაქი ვანი. სხვა ფრონტებზე ახალი არაფერი მომხდარა.

ბერლინი. გერმანია-ავსტრია-უნგრეთის ცნობა.

დასავლეთის ასპარეზი. ბრძოლის ველზე სომას ორივე მხრით საომარი მოქმედება და საარტილერიო ბრძოლა ძლიერი არ არის ინგლისელების ნაწილობრივი იერიშები ხანგარდტის ტყეში და ინგლისელებისა გრივენესთან მტრის სასარგებლოდ არ დამთავრდა, ჩვენ იმათ დიდი ზიანი მივაყენეთ.

გერმანელების რადიო. ფრანგების არტილერია თვითონვე ანგრევს საკუთარ ქალაქებს. მონ დიდიეს გარდა 5 აპრილს ყუმბარები დაუშინეს ლაონს. ამ დღესვე 476 ყუმბარა დაუშინეს მას.

გაზეთ „მატენის“ ცნობით პარიზის პრეფექტურამ აკრძალა თეატრებისა და კინემატოგრაფების გახსნა საღამოობით, რადგან სატახტო ქალაქს ყუმბარებს უშენენ.

ახალი ამბავი

◆ **გუშინწინ ამიერკავკასიის მთავრობამ დეპეშა მიიღო ტრაპიზონიდან, რომელშიაც აკ. ჩხენკელი ატყობინებს, რომ ოსმალეთის საიმპერატორო მთავრობა 28 მარტს მის მიერ წაკითხულ დეკლარაციაში ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების შესახებ ამიერკავკასიის დელეგაციისაგან სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად 48 საათის განმავლობაში მოითხოვს პასუხს. ამასთანავე ერთად აკ. ჩხენკელი მიუთითებს იმ გზაზე, რომლითაც შეიძლება სისხლის ღვრის აცდენა; ეს გზა გამოიხატება ტერიტორიის ზოგიერთი ნაწილის დათმობაში.**

◆ **ცხინვალიდან** ამხ. ქ. რაჭველიშვილისა და ჯ. იოსელიანისაგან რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „ოპერაციები სწარმოებს. ჩვენი არტილერია ნაყოფიერად მოქმედებს. ჩვენ კარგად ვართ. სალამი ამხანაგებს“. დეპეშა გამოგზავნილია 26 მარტს, საღამოს 8 ს. 25 წ.

◆ **წმ. გიორგის ჯვრით დაჯილდოვება.** ოსმალეთის ფრონტზე შესაფერ მოქმედებისათვის კავკასიის გიორგის სახელობის საბჭომ ქართულ სამთო-ცხენოსან ბატარეის უფროსი კაპიტანი ცაგურია წმ. გიორგის ჯვრით დააჯილდოვა.

◆ **საუნივერსიტეტო საზოგადოება.** დღეს, 28 ამ თვეს, შუადღის 12 საათზე ამიერკავკასიის ბანკის სადგომში დანიშნულია შეერთებული კრება ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობის, საფინანსო კომისიის და იმავ უნივერსიტეტის გამგეობისა. განსახილველია საგნები: ფოტოგრაფის ერმაკოვის მემკვიდრეთაგან სამეცნიერო მნიშვნელობის კოლექციის შეძენა და სხვ.

◆ **ქართველ ფარმაცევტთა საყურადღებოდ.** 29 მარტს ხუთშაბათს საღამოს 8 საათზე ძველ სემინარიის შენობაში (ლორის მელიქოვის ქუჩაზე № 1) შესდგება ქართველ ფარმაცევტთა საერთო კრება, სადაც განხილულ იქნება: 1) მოხსენება ეროვნულ საბჭოსთან არსებულ საფინანსო სექციის თავმჯდომარისა 2) დროებით გამგეობის მოხსენება კონფერენციის შესახებ და სხვა მორიგი საკითხები.

◆ **მკვლელობა.** 25 მარტს საღამოს 10 საათზე მტკვრის პირას ვერის ხიდთან ნახეს გვამი, რომელსაც ყელი ჰქონდა გამოჭრილი. როგორც ბოლოს გამოირკვა, მოკლული ყოფილა სოლომონ ასათიანი ლეჩხუმის მაზრიდან, 37 წლის. ასათიანი მოკვლის წინ გაუძარცვავთ. ამ უკანასკნელ თვის განმავლობაში მეოთხე გვამია, რომ ამ ადგილზე იპოვეს. ეჭვი არ არის აქ ახლო იმყოფებიან ყაჩაღები, რომელნიც ამ საზიზღრობას სჩადიან.

◆ **ნიხრის დარღვევა.** სამოქალაქო მილიციის უფროსის დადგენილებით შეიპყრეს მაიდანზე ვაჭრები: შარაშიანცი და სამტრულოვი, სანოვაგის ზედმეტ ფასში გაყიდვისათვის.

◆ **ჩვენი ჯარების გამარჯვება.** ორიზონის რედაქციას აუწყებენ პირდაპირი მავთულით: ჩვენმა ნაწილებმა სოფ. ახალ სელიმში დაამარცხეს ოსმალები, წაართვეს რამოდენიმე ზარბაზანი და ტყვიისმფრქვეველი.

◆ **შაბათს, 31 მარტს,** ქართულ კლუბის დარბაზში ვლ. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა „მედეა“. მედეას როლს შეასრულებს ეფ. მესხი. დანარჩენი როლები საუკეთესო ძალთა შორის არის განაწილებული.

◆ **წინამძღვრიანთ-კარის სკოლა.** ამიერკავკასიის მთავრობამ მიიღო ეროვნულ საბჭოსთან არსებულ განათლების სექციიდან თხოვნა იმის შესახებ რომ წინამძღვრიანთ სკოლას დაუნიშნონ სუბსიდია 31 ათასი მანეთი.

◆ **„ექიმის“ თანაშემწეებმა** აღძრეს შუამდგომლობა სეიმის სამხედრო სექციის წინაშე, რომ თანახმად სეიმის დადგენილებისა მატერიალურ მდგომარეობის შესახებ ქართულ კორპუსის „ლეკარის“ თანაშემწეებისა დამტკიცდეს.

◆ **შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ვ. რამიშვილი** წავიდა ბათომში, საქმეები მიანდო კ. გვარჯალაძეს.

◆ **საგანგებო დელეგაცია.** სეიმის წევრები კანტემიროვი და იუსუფბეგოვი საგანგებო დელეგაციად გაგზავნა მთავრობამ ტრაპიზონში.

◆ **მთავრობას განუწყვეტელი სხდომები** აქვს.

◆ **ამიერკავკასიის ლაშქრის საველე საბჭოს** საქმეების მოურავი დოლომანოვი დანიშნეს სეიმის სამხედრო კომისიაში საქმის მწარმოებლად.

◆ **სხდომა.** დღეს დღის 5 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში შესდგება მუშათა საველე ცენტრის სხდომა.

◆ **სასურსათო ბარათები.** ამ დღეებში ერთ სასურსათო კომიტეტისაგან ბოროტმოქმედებმა გაიტანეს 1223 სასურსათო ბარათი.

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

მორიგი კრება დღეს ოთხშაბათს პარტიის კლუბში (ლორის-მელიქოვის ქ. ძველი სემინარია) საღამოს 7 საათზე გაიმართება მორიგი კრება პარტიულ წევრებისა. ამხ. სამ. ფირცხალავა წაიკითხავს მოხსენებას ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკების შესახებ.

—

დღეს, საღამოს 6 საათზე პარტიულ კლუბის დარბაზში დანიშნულია ტფილისის გუბერნიის კომიტეტის სხდომა. ამხანაგებს დაბეჯითებით ვსთხოვთ დაესწრონ და ნურც დაიგვიანებენ.

არჩილ ჯორჯაძის სოვნას

...გონება გვიკარნახებს, მართალია დიდი მგოსანი ძველი დროისა: „არაფერი არ ჩავარდება უფსკრულში, არც შავ-ბნელ ტარტარში (ჯოჯოხეთში). საჭიროა მატერია, რომ მომავალი ჩამომავლობა დაიბადოს. სიცოცხლე არ არის უსაზღვრო და საუკუნო საკუთრება ადამიანისა; ის მხოლოდ დროებით კუთვნილებას წარმოადგენს ყველასათვის. მხოლოდ განსაზღვრული დროით შეიძლება მათი სარგებლობა“...

მაგრამ გული, გული ჩვენი ყოველთვის კანკალებს და იტანჯება, როცა ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ინგრევა, ცვივის არარაობის უფსკრულში ის, რაც მას უყვარს, ის, რასთანაც ის შეერთებულია გრძნობის, საერთო ინტერესის, საერთო მოგონებათა ძაფებით. და როდესაც ბედი, ბედი ხშირად უკუღმართი, დაუნდობელი, გამოგვტაცებს ადამიანს, რომლის მთელი სახე, მთელი არსება ჩაქსოვილია და შედუღებულია საზოგადოების სიცოცხლესთან, ჩვენი არსება, გული და სული, დაიკუწება და ღრმა ჭრილობა ჩვენი სხეულისა იწვევს ამ ჭრილობის კიდეების შეერთების, შეზრდის სურვილს...

ხუთმა წელმა განვლო მას აქეთ, რაც მე არჩილ ჯორჯაძის გაცივებულ გვამთან ვიდექი... დღეს მიუხედავად ამისა ჩვენს წინ იშლება ამ სპეტაკი პიროვნების შესახებ მოგონებათა მთელი წყება. ავადმყოფი, დასუსტებული ჩვენი გულითადი მეგობარი, ჩვენი სულის სასურველი სარდალი სავსე იყო სიცოცხლით, გონების გამჭრიახობით, გრძნობათა სიდიადით. ის იყო შემკობილი არა მარტო ნათელი, დიდი, შემოქმედებით გონებით; მისი გული, მისი ხასიათი იყო ღრმა სიამოვნებათა წყარო მათთვის, ვისაც მისი ცნობა ჰქონდა. ის იზიდავდა ადამიანს თვისი ჰუმანიური ხასიათით, ამ ხასიათის მომხიბლავი თვისებებით, სიფაქიზით და სილამაზით. არჩილ ჯორჯაძე იცოდა თავის დროზე დასახმარებლად მოსვლა იქ, სადაც ხელმძღვანელობას და დახმარებას მოითხოვდა საზოგადოებრივი პროგრესი, რომელსაც ის ყოველთვის გულწრფელად და გულმოდგინედ ემსახურებოდა. მეცნიერებისადმი ინტერესი და სიყვარული მუდამ თან სდევდა არჩილ ჯორჯაძეს. ეს ინტერესი და სიყვარული განუყრელი ნაწილი იყო მისი ბუნებისა. მაგრამ მასში არ იყო არავითარი პედანტიზმი. იჭვისა და შურის თვალით არ უყურებდა იმავ სფეროში მომუშავეთ, ყოველგან, სადაც კი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრება დუღდა, არჩილ ჯორჯაძე იქ იყო პირველ წყებაში. საზოგადოებრივ ცხოვრების ძალას, სიმდიდრეს თანამედროვე დემოკრატიის ვალე წინ-სვლაში ხედავდა.

მაგრამ [illegible] ძო სამწუხარო დროს! მშრომელი ნარის და [illegible] ისტორიული ნაკადულის კალაპ ყოველ დღიურ შეუწყვეტელ ბ ლით ის ართმევს მომავალს ერთ ბიჯს მიწას მეორესთან, დახლართ ლი გზებით ის მიდის კაცობრიობ ბედნიერების და თავისუფლების უმა ლეს წერტილამდის. მისი მისწრაფ შეუკავებელია, მისი წინ-სვლა სტ ქიური ძალით სავსეა... მაგრამ ეს ს ერთო მსოფლიო შეხედულება არჩი ჯორჯაძემ შეაერთა ნაციის იდეასთა რომელსაც უნდა შეუთანხმდეს და დ ემორჩილოს ყველა ჯგუფობრივი დ კლასობრივი ინტერესი. ნაცია ერთ გვარი იდეაა, რომელიც შორს მიდი კლასი კი ინტერესია—მითხრა ერთ ხელ არჩილ ჯორჯაძემ. და ეს სიტ ვები არასოდეს არ ყოფილა ისე ლო სიმართლესთან, როგორც დღე არჩილ ჯორჯაძის მოღვაწეობის თავრესი აზრი იმაში გამოიხატ რომ განთავისუფლებულ მშრომელ რ სეთში განთავისუფლებული მშრომე ლი სამშობლო ყოფილიყო.

არჩილ ჯორჯაძე საკაცობრიო იდე ლებთან ერთად ატარებდა თვის ა სებაში სამშობლო მიწის ძლიერ სუსტ თვისებებს; ამისათვისაა, რ საქართველოს დემოკრატიის პანთეო ში არ არის სხვა ვინმე, რომელსა ისეთის სიმპატიით და ძლიერები შეეძლოს თავისადმი ყურადღების მ პყრობა და წარმოადგენდეს ჩამომა ლობისათვის იმგვარ ინტერესის წყ როს, როგორც პიროვნება საქ. სოც ფედ პარტიის დამაარსებელი არჩი ჯორჯაძე. მან ვერ მოაღწია დღ დის. კეთილშობილი გული დადუმ მაგრამ ნათელი, სულიერი სახე ჰუ ნისტისა და სოციალისტისა მუდ ჩვენს შორის იქნება.

ალ. მდივანი.

ცხინვალის ამბები

საგანგებოდ გაგზავნილ კორე პონდენტისაგან.

23 მარტს შუადღისას ეტლით გა მართე გორიდან ცხინვალს. ჩემთ ერთად ოთხი სხვა მგზავრიც იყ ყველანი ცხინვალელი სომხები იყვნ მათ ცხინვალიდან თავიანთი ცოლ შვილი გამოეხიზნათ და ახლა უკ ბრუნდებოდნენ, რათა გაეგოთ, ბედი ეწია მათ კარმიდამოს არეულ ბისა და ძარცვა-რბევის დროს.

ტრაპიზონის საზავო კონფერენცია.

1918 წ. თებერვლის 22.

დღიური შთაბეჭდილებანი*)

ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია ტფილისიდან უნდა გამგზავრებულიყო ნაშუადღევის ორ საათზე. მაგრამ ამ დროისთვის ნახევარს ძლივს მოეყარა თავი, სადგურზე არც სანოვაგე და სხვა საჭირო მასალა მოემზადებიათ. წამსვლელები მძიმედ გროვდებიან. დელეგატი თერთმეტია, მაგრამ ბევრია მდივანი, ექსპერტი, სხვა და სხვა სპეციალისტი, მცველი აფიცერი თუ ჯარისკაცი, მოსამსახურე, ასე რომ მთელი მატარებელია საჭირო.

გამომგზავრების მოლოდინში სადგურზე აქა-იქ შეკრებილან დელეგაციის წევრები და გარეშე პირები და გაცხარებული სჯა-ბაასია, რასაკვირველია უფრო ზავის შესახებ. ყველას იმედიანობა ემჩნევა. ჯერ კიდევ სავსებით არავის წარმოუდგენია, თუ რა დიდი როლი უნდა ითამაშოს ტრაპეზუნდმა ამიერკავკასიის და კერძოდ საქართველოს ცხოვრებაში, თუ რა ღრმა კვალი უნდა დასტოვოს ამ ქალაქმა ჩვენს ურთიერთობაში, ჩვენს მომავალში: გველირსება სანატრელი მშვიდობიანობა, თუ ახლა უნდა დაიწყოს ჩვენთვის ნამდვილი ბრძოლა, ბრძოლა სიკვდილ სიცოცხლისა? ჩაეყრება მტკიცე საფუძველი კავკასიის შეთანხმებას, თუ იგი თავშივე დაიშლება და თითოეულმა ერმა ცალკე უნდა გამოსჭედოს თავისი ბედი?..

ოთხის ნახევარზე მატარებელი დაიძრა. ვაგონში იგივე ბაასია—ომი და ზავი. ერთს კუპეში ახლობელი ამხანაგ-ნაცნობები მოვთავსდით. ტრაპეზუნდში ნამყოფი ამხანაგი გვიამბობს, თუ როგორ გაანადგურეს იქაურობა სახლში მომავალმა ეშელონებმა, როგორ წაბილწეს და გაახრეს ყველაფერი, როგორ მხეცურად ეპყრობოდნენ ადგილობრივ ოსმალოებს. ქართველი ჯ.-კაცები ხშირად უარეს ამბებს სჩადიოდნენ, ვიდრე რუსებიო.

თუმცა ჩვენი მატარებელი საგანგებოა, მაგრამ წესიერად და სწრაფად ვერ მოდის. ერთ ალაგას მოსამსახურეს დანა გადმოუვარდა და ამისთვის მატარებელი შეაჩერეს. საზოგადოთ დელეგაციას ყველაფერში ეტყობა მოუწყობლობა.

გზაში შეტყობილი აქვთ დელეგაციის გამომგზავრება. ხაშურში დიდი დეპუტაცია დაგვხვდა წითელი გვარდიისა და ხალხის. ერთი ადერბეიჯანელი დელეგატი ამბობს: რა წესიერად გაქვთ ყველაფერი ქართველებს, ჩვენსკენ კი უკულტურობის და არეულობის მეტი არაფერიაო.

ასეთივე დეპუტაცია მოგვეგება ზესტაფონში, თუმცა უკვე შუაღამეა. დელეგაციის თავმჯდომარემ ა. ჩხენკელმა სიტყვით მიმართა: აღნიშნა რევოლიუციის განსაცდელი და ის საფრთხე, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს სამშობლოს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობით. „გაუმარჯოს რევოლიუციას, ამიერკავკასიის სეიმს, საქართველოს დემოკრატიასო“! ასე დაამთავრა სიტყვა.

ვაგონის სალონში თათბირია საზავო კონფერენციაზე გასარჩევ საკითხების შესახებ. სომხის დელეგატი ამტკიცებს: ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა ფაქტიურად არსებობს, ხოლო მომენტი მისი გამოცხადებისა უნდა შეუფარდდეს ზავის ჩამოგდებას; თუ ეს დამოუკიდებლობა საჭიროა ჩვენთვის, იგი ესაჭიროება ოსმალეთსაც. თურქი დელეგატი ამბობს, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის და იგი უნდა გამოვაცხადოთ „დამოუკიდებლად ყოვლისა. ზოგიერთის აზრით, ზავი უნდა შეიკრას არა მარტო ოსმალეთთან, საჭიროა საზავო ხელშეკრულობა გერმანიასთანაც...

თებერვლის 23

ბათუმში ჩავედით დილის ექვსის ნახევარზე. მატარებელმა პირდაპირ ნავსადგურთან მოგვიყვანა. მალე შევუდექით გემის საკითხის გამორკვევას. ერთი-ორი იმის შიშს გამოსთქვამს, რომ გემებზე მეზღვაურები სულ ბოლშევიკები არიან და ვაი თუ დაგვატყვევონო.

გავიგეთ, რომ გემი მზად იქნება მეორე საათისთვის.

გ. ლ—ი და მე ს. მ—თან წავედით. იგი აჭარისკენ წასასვლელად ემზადებოდა წითელი რაზმითურთ. სამწუხარო ამბები გვითხრა: რეგულიარული ჯარი ჯერ არსადაა. წითელი გვარდიის მაინცა და მაინც დიდი იმედი არ უნდა გვქონდეს; არ იქცევიან კარგად ინტელიგენტები, რომლებსაც მძიმე საქმე ეძნელებათ; აჭარა ჩვენს საწინააღმდეგოდაა შეიარაღებული ჯემალბეგ ხიმშიაშვილის მეთაურობით; ყველგან ოსმალეთის აგენტები არიან ჩაყენებულნი, ასკერები წვრთნიან აჭარელთა რაზმს; მთელი ჩვენი ყურადღება, აქეთკენ უნდა მივაქციოთ.. გაგვაფრთხილა, ასეთ პირობებში საზავო მოლაპარაკება ჩვენთვის არ იქნება სახეიროო.

პირველი საათი სრულდებოდა, ბათომიდან რომ გამოვედით. გამოვიარეთ ნალმების დასაჭერი ბადე, ჩავუარეთ გვერდით ბათომის საუცხოვო ბაღს, რომელსაც ესოდენ აუშნოვებს ზურგით ამოფარებული რუსული ეკლესია. შორს მოსჩანს დათოვლილი მთები.

ჩვენი გემი, კარლოს პირველი, რუმინიის ყოფილა და ამ მსოფლიო ომში რომ ჩაერია, რუსეთს გადასცა. ეხლა რუსის მატროსები ფლობენ, როგორც თავის საკუთრებას. გემზე დარჩენილა რამდენიმე რუმინელი მეზღვაურიც.

ჩვენი აფიცრები და სალდათები დგანან ყველგან და ფხიზლად ადევნებენ თვალყურს, რომ არა მოხდეს რა...

უკვე ოსმალეთის ტერიტორიის ნაპირებია. აქეთ მთები უფრო თოვლიანია.

გავიარეთ არქაბე, ათინა, ქემერი— ეს მიჯნა ლაზების მოსახლეობისა. ძველი რუსეთის საზღვრიდან 65—70 ვერსტი იქნება. ი. ყ—ძე, რომელმაც ამ რამდენიმე ხნის წინად მოიარა ლაზეთი, გვიამბობს: ლაზი 80 ათასამდეა, მეტად შეძლებული, შრომის მოყვარე და სიმპატიური ხალხია, კარგად და სუფთად ცხოვრობენ, ვერ ნახავთ იმათ სახლს, რომ 4—5 ოთახისაგან არ შესდგებოდეს. ლაზებს დიდი სურვილი აქვთ ჩვენთან შეერთებისა, მაგრამ უნდობლად უცქერიან რუსებს, ეშინიათ მათიო. ი. ყ—ის სიტყვით, ლაზებს უფრო ქართული შეგნება აქვთ, ვიდრე აჭარლებს; ეხლა რომ ოსმალოებმა ქართველებს დევნა დაუწყეს, ლაზები იფარავდნენო.

სამწუხაროდ ჩვენ ვერ ვისარგებლეთ ხელსაყრელი დრო და თითქმის არავითარი ყურადღება არ მივაქციეთ მათ ვედრებას—მოდით, გვასწავლეთ რამე, გვიპატრონეთო. ი. ყ—ძე გვითხრა: თვალცრემლიანი გვეხვეწებოდნენ, ნუ დაგვტოვებთ ასეო, ტფილისში ბევრს გადავეცი ეს ამბავი, მაგრამ თითი არავინ გაანძრიაო.

ჩვენი გემის მეზღვაურები მონაწილეობას იღებდნენ სოხუმის ამბებში და ეხლა თავს იმართლებენ: ნაპირზე რომ გადავედით, აფიცერი ემუხვარი შეგვეფეთა და მკვახედ გვიყვირა: რატომ სამხედრო სალამს არ მაძლევთო. ვუპასუხეთ: პატიოსანი აფიცერი პაგონებს არ გაიკეთებსთქვა. რევოლვერი დაგვახალა და მოგვიკლა კომიტეტის თავმჯდომარე დავიჭირეთ [illegible] გემზე წავიყვანეთ იქ კიდევ ორი ჩვ [illegible] ამხანაგი მოკლა. მაშინ შევაგდეთ ქ [illegible] ტაში და ორთქლით დავახჩვეთო...

მანქანასთან მომუშავე ტეხნიკოსი რუმინელია, რომელსაც დელეგაციის ერთი წევრი გერმანულად გამოესაუბრა. რუმინელმა მწარედ შესჩივლა: ჩავარდი ამ ყაჩაღების ხელში და არ ვიცი, რა ვქნა, სად წავიდე! შვილები მყავს მოყვანილი სევასტოპოლში, თორემ ამდენხანს გავეპარებოდიო.

გვკითხა რუმინიის ამბები, ომობს კიდევ თუ არა, ეხლა ვისთან არისო. სოხუმის ამბები გადმოგვცა. როგორც გაზეთებში იყო აწერილი.

გავიარეთ რიზესთან. შორსაა და ვერაფერს ვამჩნევთ. შეღამდა.

გემის შიგნით ჩვეულებურს ნაც. დემოკრატს, მუსავათის წევრს და ადერბეიჯანელ სოციალისტს დავა აქვთ. მუსავათი და ნ. დემოკრატი ამტკიცებენ როგორ შეიძლება ჩემთვის ერთი იყოს ჩემი გლეხი და სხვა ეროვნების გლეხიო! ბაქოელი ინჟინერი ირონიულად ამბობდა: სოციალისტები ერების თვითგამორკვევას ქადაგებენ, ხოლო საქმე საქმეზე რომ მიდგა ბაქოში, სკოლის ნაციონალიზაციის წინააღმდეგნი გახდნენ, ერთმანეთს დაშორებასო.— ეგ სისულელეა, უპასუხებს მუსულმანი სტუდენტი, სოციალისტი: მაგრამ უნდა ითქვას ერთად სწავლებას თავისი ღირსებაც ჰქონდა: მე გიმნაზიაში ამხანაგები მყავდა ქართველებსა და სომხებში, ეხლა ასეთი შეთვისება ერთმანეთისა აღარ ქნება.

მერე ილაპარაკეს სარწმუნოების და ეროვნების შესახებ. მუსავათი იცავდა იმ აზრს, რომ ყველა მაჰმადიანს ერთი მუსულმანური კულტურა აერთებს; სოციალისტი კი უხსნიდა, რომ მაჰმადიანთა განვითარებას ბუნებრივად მოყვება დანაწილება ეროვნების მიხედვით.

გემის პალუბაზე ზავის შესახებ ვკამათობთ. უეჭველია, ოსმალეთი ეცდება კავკასიის ერების გათიშვას. გვაინტერესებს ისიც, იქნებიან თუ არა ტრაპიზონში ქართველი ემიგრანტები, რომელთაც მოლაპარაკება ჰქონდათ წინად გერმანიისა და ოსმალეთ- [illegible] ?..

მეცხრე საათია, ვუახლოვდები ტრაპიზონს. ზღვა მეტად მშვიდ მოსჩანს სინათლე. ყველანი გულ ფანცქალით შევცქერით ქალაქის პირებს. გვინდა რაღაც ამოვიცნო რით დავბრუნდებით აქედან? ტანთ სამშობლოს მშვიდობას, რ მაც უნდა განამტკიცოს თავისუ თუ [illegible] ალისთვის მოუწოდებთ და მატარას, ქალსა და კაცს? გემი ნელნელა მიცურავს. ღუზა. დადგა...

გავგზავნეთ ნაპირზე ამბები გებად. საათნახევრის შემდეგ ს რო ცნობები მოგვიტანეს გაგზავ მა: ოსმალოები სრულ ბატო რონებად ჰგრძნობენ თავის თა გრად და მტკიცედ არიან და პეტროგრადის მთავრობამ ბრესტლიტოვსკში, იმას არავის თმობენ. ჩვენი საზღვრებისკენ მ დივიზიას აგზავნიან, თუმცა მათი რიც ვერაა დღეს გამართული.

ამ ამბავმა ნაღველით აგვივსო გუ განა შეიძლება ერთს წუთსაც ა შევურიგდეთ ბათომის ოლქის წაგ ჯას?

ნაშუაღამევია, მაგრამ ძილი გვეკარება. გვიან ზოგი სკამებზე, გი სტოლებზე, ზოგიც იატაკზე წვევით და მივიძინეთ ცოტა.

თებერვლის

ადრე ავდექით. გემის პალუ ვუყურებთ ქალაქს. მოსჩანს მხო ნაწილი. ტრაპიზონდი მთის ფერ ზეა გაშენებული.

ნაპირიდან მუსიკა მოგვესმის. დავთ ჯარს რიზესკენ მიმავალს ბობენ, ორი პოლკი იქნებაო. ეს ბად განგებაა მოწყობილი, რომ ზე გავლენა მოახდინონ. ჩვენ ა ვისთვის ჩამოვედით და ესენი კი აგზავნიან ჩვენს საწინააღმდე ჩვენმა გამომგზავრებამ ერთგვარ მშვიდობა და იმედიანობა ჩამოა ჩვენში და ვაი თუ მოუმზადებ შევხვდეთ მტერს? ეგებ ეს მოლა კებაც იმიტომაა გამოგონილი,

---

*) ამ დღიურის წერას რომ შევუდექი, აზრად არ მქონია საზავო მოლაპარაკების პროტოკოლური ანგარიშის შედგენა. აღვნიშნე მოკლედ ყველაფერი, რაც ხდებოდა კონფერენციაზე, რაც გვესმოდა, ვხედავდით გარშემო. ამიერკავკასიის დელეგაციის და საზავო კონფერენციის სხდომას დაწვრილებითი პროტოკოლებია დაწერილი დელეგაციის სეკრეტარიატის მიერ და უეჭველია თავის დროზე სავსებით იქნება გამოქვეყნებული.

ს. ფ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორიდან გასასვლელი გზა შეკრული დაგვხდა. ხიდთან შეიარაღებული წითელ გვარდიელები დაგვხდნენ და გამოგვიცხადეს, გორის წითელ გვარდიის ნება დაურთველად ცხინვალს წასვლა აღკრძალულიაო. აქ ცოტა ტყუილი დამჭირდა და გვარდიელებმა გზა მოგვცეს. წასვლამდე ჩემი მგზავრები გაჩხრიკეს კიდეც. ასევე გამეორდა კარალეთსა, ტყვიავსა და ტირძნისში.

საღამოს ექვს საათზე ცხინვალს მივედით. ცხინვალში შესასვლელ გზაზე ამ დროს გაშლილიყო ქართული არტილერია და დროგამოშვებით ზარბაზანს ესროდა მთებს, სადაც ამ დღეს ოსები გამოჩნდნენ, წითელგვარდიელებს წინააღმდეგობა გაუწიეს და შემდეგ მაინც განდევნილნი იქმნენ.

შევედით ცხინვალში და საზარელი სურათი დაგვხვდა ძარცვა რბევისა და ოხრებისა, მაგრამ ამაზე ცალკე.

23 მარტს საღამოს ცხინვალს ჯა- ისხევიდან ოთხი დელეგატი მოვიდა ა შერიგება ითხოვა. თან ჰქონდათ რიგების პირობები, დაწერილი კარ- ს რუსულის ენით. აჯანყებულთა რობები ასეთი იყო. 1) ტყვეებს ვაბრუნებთ, 2) ტყვეები დაგვიბრუ- 3) იარაღს ავიყრით და გადავცემთ ადგილობრივ ტერიტორიალურ პოლკებს და 4) მაროდიორების დასჯის მომხრენი ჩვენცა ვართ.

ცხინვალის შტაბს, რომელშიაც შედიან წითელგვარდიელების ნაწილების უფროსები (8 კაცი) დაუყონებლივ თათბირი ჰქონდათ და ოსებს ასეთი ულტიმატუმი—პასუხი შეუთვალა: 1) დააბრუნეთ ტყვეები, 2) დააბრუნეთ ნაძარცვი, 3) იარაღი სულ დაგვიბრუნეთ და 4) გადმოგვეცით მეთაურები. შტაბმა უკანასკნელ ვადად დაუნიშნა 25 მარტის სამი საათი.

უკვე მობნელდა და შეუძლებელი იყო აოხრებულ ცხინვალის დათვალიერება.

ცხინვალში დამხვდა ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ლევან მეტრეველი, არისკაცის ფორმით და „ვინტოვკით“. გი გორიდან ჩემზე ცოტა ადრე იყო ამოსული ამავ დღეს. მან გამაცნო რთი ამხანაგი აბრამ ბიქაძე, ძველი რევოლიუციონერი (ს.-დემოკრ.) ამ სამმა კაცმა ჯერ ფედერალისტების ბანაკი ვინახულეთ და იქ რაკი ადგილი არ იყო, სხვაგან დავიწყეთ თავშესაფარის ძებნა. ამაზე ცოტა უფრო [illegible] და და მწუხარებით მითხრეს, რომ არ შეუძლიათ ჩემი მიპატიჟება სახლში, რადგანაც თვითონაც ახლა არიან დაბრუნებულნი ცხინვალს და სახლში ლოგინიც აღარ დახვდათ.

გარედ ძილი შეუძლებელი იყო, რადგანაც ციოდა და ამ სამმა კაცმა გადავწყვიტეთ რომელიმე აკლებულ სახლში დაგვეძინა იატაკზე. ერთის სახლიდან სინათლე გამოდიოდა და იქ ამოვყავით თავი. იქ გურული რაზმელები დამიხვდნენ შვიდი კაცი, რომელნიც სიამოვნებით მოგვეგებნენ და მიგვიპატიჟეს ცარიელს სახლში. აქვე იყო ექიმი ქალი მარიამ კობერიძისა, რომელიც ჩქარა ისევ წავიდა სავადმყოფოში.

ცოტა ვიმუსაიფეთ და შემდეგ ისინი გაგვიმასპინძლდნენ ჩაითი და „ბორშით“.

ეს გურულები გამოცდილი და მარჯვე რაზმელები აღმოჩნდნენ. ისინი დიდს უნარს და გამბედაობას იჩენენ ზვერვაში.

მათ მთხოვეს, რომ აუცილებლად აღმენიშნა რაინდობა ექიმ ქალის მარიამ კობერიძისა, რომელიც ექიმობას არა კმაყოფილდება და დიდს მონაწილეობას იღებს წმინდა ვაჟკაცურს და საშიშ საქმეშიც.

მათ ასეთი ფაქტი გადმომცეს. წინა დღით საზვერავად მთებში გასულა შვიდი კაცი: იოსებ გაბუნია, ვარლამ კეიდია, ოლიანტე ჩათელეიშვილი, პარმენ ალაქ. სირაძე, კალენიკე ციცკაძე, პანტელეიმონ დავ. ჭინჭარაძე და ვარლამ დობორჯგინიძე. მათთან ერთად მარიამ კობერიძეც წასულა და თავის გამბედაობით, დაუღალაობით და საჭიროების დროს „ვინტოვკის“ მარჯვე მოხმარებით ყველა ვაჟკაცი გაუკვირებია.

რ. ბ—ლი.

კანონი

ჯარში გაწვევის შესახებ.

1) საფრთხეში მყოფ სამშობლოს დასაცავად მოწვეულნი არიან ჯარში ამიერკავკასიის ტერიტორიის მცხოვრები ახალგაზრდები რომელნიც დაიბადნენ 1889 წ. 1 იანვარსა და 1899 წ. 1 იანვრის შორის. აღნიშნული პირები უნდა გამოცხადდნენ უახლოეს სამხედრო სამართველოს პუნქტში, საგუბერნიო და სამაზრო განკარგულებით, რათა აქედან გაიგზავნონ უახლოეს სამხედრო ნაწილში. გაწვეულნი არიან ყველანი განურჩევლად, ეროვნებისა 6 თვის ვადით.

შენიშვნა: კანონი ოფიცრების და სამხედრო მოხელეების მოწვევის [illegible] გამოიცემა.

2) მთავრობას უფლება აქვს საჭიროების მიხედვით გაიწვიოს ჯარში აგრეთვე ის პირები, რომელნიც დაბადებულნი არიან 1886—1889 წლებში.

3) ეს კანონი ვრცელდება იმათზე, ვინც 1883 წლის 1 იანვრის შემდეგია დაბადებული და უმსახურნიათ: არტილერიაში, საპიორის და სარკინისგზო ნაწილებში, ტელეფონზე, ტელეგრაფზე, ტყვიის მფრქვეველთა ნაწილში, სანაღმო, საჰაერო, საავიაციო, საავტომობილო და საფერშლო ნაწილებში და აგრეთვე იყვნენ ჯარში მჭედლებად; სამედიცინო და საბეითლო ნაწილებში.

4) ეს კანონი ვრცელდება ყველაზე, ვინც დროებით, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო განთავისუფლებული იყო.

5) ჯარში გაწვევის პირველ დღედ დანიშნულია 1918 წლის 2 აპრილი.

6) გაწვეულნი ჩარიცხულნი იქნებიან მიუხედავად საოჯახო მდგომარეობისა.

შენიშვნა. ეს კანონი ვრცელდება იმათზეც, ვინც დაბადებული არიან 1894—1899 წლ. და ჯარში არ იყვნენ ჩარიცხული, რადგან ოჯახური მდგომარეობის მიხედვით პირველი ხარისხის შეღავათით სარგებლობდნენ.

7) განთავისუფლებული არიან: სახარჯო ინსპექტორები, რადიო სპეციალისტები, მიწის მზომელები, რომელნიც გაგზავნილი იქნებიან სააგრარო მუშაობისათვის; ისინი, ვინც სახელმწიფო ბონების დამზადებელ ექსპედიციაში მუშაობენ; საქალაქო და სამაზრო მილიციაში, რკინის გზის, ფოსტა-ტელეგრაფის (მხოლოდ ტეხნიკური ზედამხედველობის პირნი), ტრამვაის, საზოგადო წყალსადენის, ელექტრონის სადგურის, ნავთის სამრეწველო დაწესებულებებში, მადნებში, სტამბებში, ორთქლისა და მოტორიან წისქვილებში მოსამსახურენი, თუ გაწვეულნი ირიცხებოდნენ ამ სამსახურში 1917 წლის 1 ოქტომბრამდე.

შენიშვნა 1. დუხობორები გაწვეული არიან ჯარში, ხოლო იმსახურებენ არა საომარ ნაწილებში, არამედ ზურგში.

შენიშვნა 2. განთავისუფლებული არიან რადიო სპეციალისტები, რომელნიც მსახურებდნენ კავკასიის ფრონტის რადიოტელეგრაფში 1918 წლის 1 მარტს.

8. გაწვეულთა განაწილება სამხედრო ნაწილებში მინდობილი აქვსთ საგუბერნიო და სამაზრო კომისარებს, [illegible] ფრონტის მთავარ სარდლის განკარგულებით, რისთვისაც მისაღებ პუნქტებში საგანგებოდ დანიშნული იქნებიან ჯარის-კაცთა მიმღებელნი.

9) ჯარში გაწვეულს პუნქტში მოსვლისას თან უნდა ჰქონდეს სამი დღის საყოფი სურსათი.

10) გაწვეულებთ, თუ მათ აქვსთ ვინტოვკა და ტყვიები, ვალდებული არიან თან მოიტანონ ის.

11) წინა (მე-10) მუხლის დარღვევისათვის დამნაშავენი სამხედრო ბეგარის მოხდის შემდეგ დასჯილნი იქნებიან დატუსაღებით 6—12 თვემდე.

12) დოკუმენტების შემოწმება და აგრეთვე ცნობების მიწოდება იმათ შესახებ, ვინც განზრახ გაურბის სამხედრო ბეგარას, ევალება: დაწესებულებებში მოსამსახურეების შესახებ ადმინისტრაციას, ბინებზე მცხოვრებთ—სახლის პატრონებს, ხოლო სოფლებში კომისარებსა და მათ თანაშემწეთ.

13) მე-12 მუხლის დამრღვეველნი დაისჯებიან დატუსაღებით 3 თვემდე, თუ ეს დანაშაულობა სხვა ისეთ დანაშაულობასთან არ არის დაკავშირებული, რომელიც მეტ სასჯელს მოითხოვს.

14. ყველა ის, ვინც განზრახ გაურბის სამხედრო ბეგარას, ძალით იქნება ჩარიცხული, ხოლო სამსახურის გათავების შემდეგ სამართალში იქნება მიცემული.

ამ.-კავკ. სეიმის თავმჯდომარე:
ჩხეიძე.
სამხედრო მინისტრი: გეგეჭკორი.

† კოსტა კაზაშვილი

19 მარტს ცხინვალში შემოსეულმა ყაჩაღთა ბრბომ ვერაგულად მოუსპო სიცოცხლე მაღალ ღირსების ადამიანს—კოსტა კაზაშვილს. კოსტა კაზაშვილი ქალაქის მუშა იყო, მაგრამ იგი აშკარად გამოირჩეოდა, როგორც თავისს ამხანაგ მუშებში ისე დანარჩენ ქართველ საზოგადოებაში. იგი სრულებით არ წააგავდა დღევანდელ ქართველ ადამიანს, ყოველ-დღიურ ინტერესებით დაწვრილმანებულს; კოსტა თავისი გაბედულობით, თავისი პირდაპირობით, თავისი მაღალის სულის კვეთებით, რომელიც ყოველ წუთს მზად იყო თავი გაეწირა სამშობლოსთვის, მოგვაგონებდა ჩვენს ისტორიულ გმირებს. იჩინა თავი თუ არა ანარქიამ ცხინვალის რაიონში, იგი დაინიშნა ცხინვალის რაზმის უფროსად [illegible] ისეთი ყურადღება დაიმსახურა ცხინვალის შეგნებული საზოგადოებისა, თავისი სახალხო სამსახურით, რომ ყველას სათაყვანებელი შეიქნა. მოკლე ხანში შეკრიბა რაზმი, 200 კაცისაგან შემდგარი, რევოლიუციის განსამტკიცებლად. განსვენებული ამბობდა, შევკრებ თუ არა საკმაო ძალას, ჩემის რაზმით გავეშურები ფრონტზე სამშობლოს დასახმარებლად. კოსტა შთამომავლობით თუმცა ოსი იყო, მაგრამ მას განსაკუთრებით უყვარდა სამშობლო—საქართველო. ფიცხელ ომი გამოუცხადა ოსის შოვინისტებს, როდესაც მათ განიზრახეს ცხინვალში ოსის პოლკის მოწყობა, სასტიკად დაჰგმო ოსის შოვინისტები, რადგანაც იცოდა მათი ზოოლოგიური შოვინისტური მიდრეკილებანი.

კოსტა რწმენით სოციალ-დემოკრატი იყო, მაგრამ ამა თუ იმ მოვლინას აფასებდა და არკვევდა არა ვიწრო პარტიული თვალთაზრისით, არამედ ისე, როგორც მოითხოვდა სამშობლოს და რევოლიუციის პირდაპირი ინტერესები. სიკვდილის წინა დღით, გაითვალისწინა რა მოსალოდნელი საფრთხე, გულახდილად გვითხრა ამხანაგებს, რომ სოციალ დემოკრატების გაუბედაობამ შესაძლებელია ხალხს თავზე უბედურება დაატეხოსო. ცხინვალის ქურდ ბაცაცებს, შანტაჟისტებს და მუქთა ხორებს კოსტა სასტიკად სჯიდა და ჰკიცხავდა საჯაროდ მათ უგვანო საქციელს. მორიდება სრულებით არ იცოდა. ფლიდობა და ორპირობა მთელი თავის არსებით სძაგდა. განსვენებული ხალხის ინტერესებს თავგამოდებით ემსახურებოდა; ჩვენ შეკითხვაზე: „არ გეშინიან, რომ ნაძირალებმა შური იძიონ? მან გვიპასუხა: „ტყვია არ მომხვდება და თუ მაინც მომკლავენ, არც ამისი მეშინიან, რადგანაც ბევრი ტანჯვა გამოვლილია და დროა მოვისვენოო“. ასეთი იყო ჩვენი საყვარელი კოსტა. ცხინვალის შეგნებული საზოგადოება და მისი ამხანაგები არ დაივიწყებენ მის ამაგს და ღვაწლს ხალხის წინაშე და მუდამ საგონებელი და სათაყვანებელი იქნება, მხოლოდ ქართველმა ერმაც უნდა გაიცნოს მისი პიროვნება და სათანადოდ დააფასოს, როგორც „ეროვნული მებრძოლი“.

გ. კ—ლი.

ზოგი რამ

ძველად, როცა საქართველოს განსაცდელი დიდი დასდგომია, ქუდზე კაცი გამოსულა. სწორედ ამით აიხსნება ის უტყუარი ფაქტები, რომ ცხრა ძმანი ხერხეულიძენი გამოსულან თავგანწირვით საბრძოლველად შემოსეულ მტრებთან. ეროვნული საბჭოს თაოსნობით გამართული მიტინგის რეზოლუციაც, რომელიც [illegible] მოუწოდებს სამშობლოს დასაცავად, იგულისხმებს [illegible] ცდილს როცა ერის ბედი ბეწვზე ჰკიდია...

საღი სოციალიზმი წინააღმდეგი როდია მამულიშვილობისა. თუ კერძო საკუთრებას უარ ჰყოფს, მაგიერ თავგანწირვით იცავს საერთო საკუთრებას, ერის მიწაწყალს მის სამკვიდროს, როცა გარეშე ძალა ემუქრება. ამის სურილი ცხადად დაეტყო ჩვენს ხალხს, რომელიც აღაფრთოვანა თავისი ქვეყნის დასაცავად კარზე მომდგარმა უბედურებამ. სულის ასეთი განწყობილება ნაყოფია თავის იდეიანობისა, ნაყოფია მისი, რომ ერს შეუგნია თავისი თავის ძალა და მნიშვნელობა და ღირებულობა იმისა, რასაც ართმევენ, რაც ისე საჭიროა მისი არსებობისათვის, გამოსულა საბრძოლველად არსებობისათვის, როგორც ინდივიდი.

ბედნიერია ერი, რომელიც თავის საერთო სამკვიდროს იცავს თავგანწირულად. ქართველობამ შესძლო არა ერთი ათასი წლის განმავლობაში დაცვა თავისი ტურფა სამკვიდროსი, რომელიც ებრაულმა თქმულებამ სამოთხის საზღვრებში მოაქცია, და ეხლაც არ დაჰხვდება ლაჩრად გარეშე მტერსა.

*

ჩვენს სეიმს დიახაც ემართლება ჰკითხოს იმპერიალისტ სემიონოვსა, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირით,

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო
ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის
შენ აღმაშფოთრად?

ეს ვაჟბატონი, რომელიც როგორც იმპერიალისტი, ძლიერთან მორიდებულია, ხოლო სუსტთა სამართლის უარმყოფელი, გამომდგარა და სეიმის ტრიბუნიდგან გვექადაგებს, თავისუფლების, მოპოვება, კავკასიის ამიერ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადება სარგებლობის მაგიერ ვნებას მოგიტანთო და დადგება ძველი დრო, როცა საქართველოს თემები ერთი მეორეს არ სცნობდაო. ის კი ავიწყდება ველიკოროს იმპერიალისტს, რომ საქართველოს ერთიანობის დარღვევის მიზეზი მეთექვსმეტე საუკუნიდან ვიდრე მოსკოვის 1801 წ. ღალატით გაბატონებამდე, თეირან-სტამბოლის პოლიტიკის გარდა, მისი საკუთარი პოლიტიკაც იყო, ის ინტრიგები, რომელსაც

დრო მოიგონ, უფრო მტკიცედ დაგვცენ გულში ლახვარი?..

12 საათზე მოვიდა გემზე ტრაპი- ის ვალის (გენ. გუბერნ.) ადიუტანტი, ახალგაზრდა ოფიცერი. [illegible] გამოიცქირება, გამარჯვებულის მეტყველება ემჩნევა. თხოვა დელეგაციას: ჩვენი ჯარის სტუმრები თ, თქვენი დაბინავება და შენახვა ნი საქმე იყოს; თქვენი საზეიმო ება ოთხ საათზე იქნება, რამდენი თ და ვინ, რომ ყველაფერი ისე ვაწყოთ. როგორც ეჯობინებაო. ჩვენი დელეგატები ან საღამოს ან ვალ დილით ჩამოვლენ სტამბოლიდანო.

ადიუტანტის წასვლის შემდეგ თათბირი გაიმართა. რუსეთის ჯარის რწმუნებული და ჩვენთან ჩამოსული სამხედრო მისიის წევრები ამტკიცებენ: ოსმალები მაგრად ემყარებიან ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობას, ჯარებს აგზავნიან ბათომის და ყარსის ჩასაბარებლად და ეს ეხლანდელი მოლაპარაკება მხოლოდ საზღვრების დაწვრილებითი ჩამოყალიბებისთვის უნდათო.

ყველას საერთო შთაბეჭდილებაა, რომ ზავს ვერ შევკრავთ.

ჰ. ა—ემ მითხრა: ბათომში რომ გემზე ვიყავით უკვე, ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილის გამოგზავნილ კაცებს უნდოდათ მუსულმან დელეგატების ნახვა და დავალება—ჩვენ ქრისტიან ქართველებთან არ გვინდა ყოფნაო. ჰ. ა—ს ის კაცები მყისვე უკან დაუბრუნებია, ოგორ არ გრცხვენიათ და მაგისთანა საქმეს ჰკისრულობთო.

ასე ღესავს ჩვენს საწინააღმდეგოთ ხმალს ის ადამიანი, რომელმაც სამშობლო ერთხელ რუსეთს მიყიდა და ეხლა ოსმალეთს უნდა მიყიდოს!..

ჩვენი გემი მოშორებით იყო გაჩერებული, მაგრამ ეხლა რუსების გაკეთებულს მოლის მიადგა. ეს მოლი ლა გამოადგებათ ოსმალებს. მათ აფერი ჰქონდათ ამის მგზავსი. ამიერიდან კარგი ნავთსადგური ექნებათ და გემები პირდაპირ მიადგებიან ნაპირს.

საშინელს სანახაობას წარმოადგენს ამ ჟამად მოლის ახლო მახლო ადგილები. აუარებელი, მილიარდის ქონება ყრია გაოხრებული, გაფუჭებული: ვაგონები, ორთქლმავლები, ავტომობილები, ტყვიისმტყორცნელების, ზარბაზნების მოწყობილობა, პოვოზკები, რკინები, სხვა და სხვა ნამტვრევები. ზოგი დამტვრეულია, ზოგი მთელი, მოლიდან ერთი ვერსტის სიგრძეზე რუსების საწყობები და სახლებია დანგრეული. აწყვია სხვა და სხვა მასალა, სხვათა შორის რელსები 200-300 ვერსტისთვის. ვხედავთ რუსის ჯარის გაკეთებულს საუცხოვო გზატკეცილებს რიზე ბათომისა და არზრუმისაკენ.

ნაპირზე ჰყრია ცხენების მძოვრები, ორი ადამიანის გვამიცაა. ირგვლივ აუწერელი სიბინძურე და მყრალი სუნია.

ოთხ საათზე უნდა გადავსულიყავით ბინაზე, რომელიც ოსმალებმა მშვენივრად დაგვიმზადეს თურმე. მაგრამ მოითხოვეს, რომ თან არ გამოგვყოლოდნენ ჩვენი მცველები, აფიცრები და ჯარისკაცები—ეს ჩვენი შეურაცხყოფა იქნებაო. ჩვენი დელეგაცია არ დაეთანხმა, მით უფრო, რომ ჯერ ოსმალთა დელეგაცია არც ჩამოსულა და ვინ იცის, საქმე როგორ წავა.

სულ იმის ფიქრში ვართ, რომ ვაი თუ ოსმალოები ყოველ შემთხვევას სარგებლობენ, აჭიანურებენ საქმეს? მათი დელეგაცია უკვე ჩამოსული უნდა დაგვხვედროდა აქ და აქამდის არ არის.

გავაგებინოთ ეს ყველაფერი იქ ჩვენში, რომ სასწრაფოდ შეუდგნენ და მოემზადონ, საშინელ განსაცდელში არ ჩავცვივდეთ!.

თებერვლის 25

ამიერკავკასიის შედგენილობა ასეთია. დელეგატი თერთმეტია: თავმჯდომარე ა. ჩხენკელი (სოც.-დემ.), წევრები—გ. ლასხიშვილი (სოციალ-ფ.), გ. ჟვანია (ნ.-დ.), ჰაიდარბეგ აბაშიძე (ს.-დ), ხატისოვი (დაშ.), კაჩაზნუნი (დაშ.), ხასმამედოვი და გაჯინსკი (მუსავ.), შეიხულ ისლამოვი (გუმ.), ჰაიდაროვი (   ), მეხტიევი (რუს. მუსულ.). საქმის წარმოების გამგე მ. თუმანოვი, მისი თანაშემწენი—გ. ნანეიშვილი და რ. მიქელაძე, მდივნები—ვეშაპელი, ფირცხალავა, ტერმინასოვი, პეპინოვი, უწყებათა წარმომადგენლები—ბუნიატიანი, ქიქოძე და სეკრატიოროვი; მცოდნე პირები—ფ. გოგიჩაიშვილი, ი. ყიფშიძე და ბაბახანიანი; თარჯიმანები—ვ. ღამბაშიძე, რასულზადე და ბერშტეინი, თავმჯდომარის პირადი მდივნები—ი. გოგოლაშვილი და ა. ქუთათელაძე, ადიუტანტები შტ. კაპ. ჩხეიძე და პორ. კიზირია. სამხედრო მისია შესდგება თორმეტი კაცისაგან. სხვა და სხვა მოსამსახურეა ცხრა და მცველთა რაზმი 50 კაცი...

ამდენი ადამიანისთვის გემზე არც საჭმელია და არც სხვა მოწყობილობა. ყველა დიდს შევიწროვებას განიცდის. მთელი დღე ჩაისა და პურის მეტი არა გვქონდა რა. საღამოს მოგვიტანეს ხორცის კონსერვები, ზოგს არ გვეჭამა.

ციხეში რომ ვიყავი, იმნაირი მდგომარეობაა...

ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარე სადარბაზოდ იყო აქაურ ვალისთან. ოფიციალური მისალმება, მეტი არაფერი ყოფილა.

მეზღვაურებმა ულტიმატუმი წარმოგვიდგინეს: 27-ის შუადღემდე დავრჩებით, ათი-ათასი მანეთი უნდა მოგვცეთო.

თუ ოსმალეთის დელეგაცია ჩამოვიდა, ხვალ ალბად ხმელეთზე გადავალთ. ჩვენი მცველები ბათომში დაბრუნდებიან.

თებერვლის 26.

ჩვენი გემის რადიო ტელეგრაფით კომისარიატის დეპეშა მივიღეთ: ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალს შეჰიბ-ფაშას მოუწერია, ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულობით ბათომის და ყარსის ოლქები ჩვენ გვერგო და რაც შეიძლება მოკლე დროში დაგვიცალეთო.

ჩვენს დელეგაციას მაინცა და მაინც არ სჯერა ოსმალეთის დელეგაციის ჩამოსვლა. ვალის მისწერა თავმჯდომარემ: წერილობით გვაცნობეთ, როდის ჩამოვიდა დანამდვილებით თქვენი დელეგაცია.

ჩვენს გვერდით რუსის ტრანსპორტია. თურმე პურითაა დატვირთული, რომელიც ბათომში უნდა მიიტანა. ეს პური აქეთ წამოღულია და ეხლა აქ ყიდის ოსმალოებზე.

ჩვენი გემის მეზღვაურებმა დილას გადმოგვცეს, რომ ზღვაზე რომელიღაც გემი გამოჩნდაო. გაგვეხარდა. გვეგონა, რომ დელეგაცია იქნებოდა. მაგრამ მერე გავიგეთ, რომ ეს ტრანსპორტია.

რამდენიმე ხნის შემდეგ გემი მოვიდა: ჩვენს მახლობლად გაჩერდა. ტრანსპორტია, ჯარითა და იარაღით. გემი ბაირაღებითაა მორთული, უკრავენ მუსიკას. ეს პირველი ოსმალური გემია, რომელიც ბრძოლის შეწყვეტის შემდეგ შემოდის აქაურ ნავთსადგურში.

ჯარი უეჭველია ჩვენსკენ იქნება გაგზავნილი.

გვითხრეს, ოსმალეთის დელეგაცია საღამოს ხუთ საათზე ჩამოვაო.

გენერალ ლ—ის ველაპარაკე ჩვენი მდგომარეობის შესახებ. მ. პასუხა: ყოვლის უწინარეს სულით არ უნდა დაეცეს დელეგაცია. თუ ხალხს აქვს შეგნება თავისუფლებისა, უნდა თავისუფლება, კიდეც დაიცავს. თუ არ უნდა, ღირსიც არ ყოფილა. იარაღი ბევრია ხალხში, ყველა გამოვიდეს [illegible] და ერთსულოვნად და მაშინ ოსმალეთის ჯარი არ იქნება საშიში. აქ ჩვენი საქმე ვცადოთ, ეგებ რამე გაკეთდეს. იქ ჩვენი ყველაფერი თავის წესით მიდის, მზადდება...

საღამოს ოსმალოებმა დაიწყეს ჯარის გადასხმა გემიდან. ჩვენი მეზღვაურები იმუქრებიან: ზარბაზნებს დაუშენით და ჩავძირავთ ეხლავე. ნაცარქექიას მუქარაა! ან კი რაიმე გულწრფელობაა მათ სიტყვებში?

ოსმალეთის დელეგაციის ჩამოსვლა არ გამართლდა. ღამის 10 საათზე ჩვენმა დელეგაციამ ითათბირა და დაადგინა: მოლაპარაკებას არ ვსწყვეტთ, მაგრამ რაკი აქამდის არაა ოსმალთა დელეგაცია, მივდივართ ბათომში და იქ დავიცდით; როცა ჩამოვა ოსმალეთის დელეგაცია, გვაცნობონ და მივბრუნდებითო.

ხვალ დილით უნდა წავიდეთ აქედან.

თებერვლის 27.

ადრე ავდექით და ვემზადებით წასასვლელად მაგრამ შვიდ საათზე ვალის ადიუტანტი მოვიდა: ჩვენი დელეგაცია აუცილებლად ჩამოვა დღეს და მოაწყვეთ თქვენი გადმოსვლა ნაპირზეო.

ცხრის ნახევარზე მართლა გამოჩნდა გემი. ნალმოსანია. ოსმალეთის დელეგატები ჩამოვიდნენ.

ჩვენს გემზე მოვიდა დელეგაციის წევრი მაიორი ხუზრეფ ბეი.

გვეინტერესება: ვინ არიან წევრები, არის ვინმე გერმანელი მათ შორის თუ არა, რამდენი კაცია, ზავისთვის ჩამოვიდნენ, თუ სხვა რამესთვის, გვთვლიან თუ არა ჩვენ ამიერკავკასიის დელეგაციად?

ამდენი ლოდინისა და დამცირების შემდეგ ერთგვარი კმაყოფილება ვიგრძენით, რომ ოსმალეთის დელეგაცია მაინც ჩამოვიდა, თუმცა მოლაპარაკების კარგად გათავების იმედი ნაკლები გვაქვს. ალბად მეტად დახლართულს პირობებს წარმოგვიდგენენ.

ჩვენმა თავმჯდომარემ ვალის ბინაზე ინახულა ოსმალთა დელეგაციის თავმჯდომარე რაუფ-ბეი. იყო ლაპარაკი ზოგიერთი საკითხის შესახებ, გამოირკვა, რომ ისინი არიან ჩამოსულნი, როგორც ოტომანთა მთავრობის წარმომადგენელნი მოსალაპარაკებლად ამიერკავკასიის სეიმის წარმომადგენლებთან. ა. ჩხენკელს უკითხავს: რამდენჯერმე იხმარეთ აქ მიმართვაში და ვალის წერილშიც იყო ნათქვამი „რუსის დელეგაცია“, ეს რას ნიშნავსო. რაუფ-ბეის უპასუხნია: ეგ უბრალო შეცდომაა. კარგად ვიცით რომ ამიერკავკასია დამოუკიდებ- რესპუბლიკაა.—თუმცა ოსმალთა დელეგატების მანდატში სწერია, გამართონ „მოლაპარაკება“ (და არა საზავო მოლაპარაკება) იმ წინადადებათა შესახებ, რომელთაც წარმოადგენენ ამიერკავკასიის მთავრობის რწმუნებულებიო, მაგრამ რაუფ ბეის პირდაპირ განუცხადებია: ჩვენ ჩამოვედით საზავო მოლაპარაკებისთვის და სურვილი გვაქვს მტკიცე ზავი ჩამოვარდეს მეზობელ ერებს შორისო.—ჩვენს თავმჯდომარეს ცალკე აღუძრავს საკითხი ვეჰიბ-ფაშის დეპეშის გამო. უთქვამთ: წერილობით გიპასუხებთო...

ჩვენი დელეგაციის ადერბეიჯანელ წევრებს სტამბოლის გაზეთი უჩვენიათ. წაიკითხეს ცნობა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის და ბათომ ყარსის დაბრუნებისა. ეტყობოდათ, ესიამოვნათ.

უკვე საკმაოდ შეღამებული იყო, რომ ნაპირზე გადმოვედით. საშინელი ტალახი და სიბნელეა. მიწაზე ნავთს ასხამდნენ და ისე გვინათებდნენ გზას, დაგვხვდა ვალი და რამდენიმე მხლებელი. უკრავს მუსიკა. რადგან ეტლი მხოლოდ ოთხია, ნაწილი დელეგაციის ერთჯერ წავიდა და ნაწილი მეორეჯერ. ჩვენი სახლის წინ საპატიო დარაჯები არიან დაყენებულნი და აქაც მუსიკით შეგვხვდნენ. ჩვენი ბინები ბერძნის მილიონერის თეოფილაქტოსის მდიდარ სახლშია მოთავსებული. ეს სახლი ბერძნებს ნიკოლოზ ნიკოლოზისძისთვის უჩუქნიათ. მერე აქ მუშ. და სალდ. დეპუტატების საბჭო ყოფილა მოთავსებული.

ცხრა საათზე ვივახშმეთ. ყველაფერს უსუფთაობა, ულაზათობა ემჩნევა. საჭმელი ბევრია, მაგრამ [illegible] არ აქვს.

ეწვეოდნენ მათი დეპუტატები ქართველთა შინაური ცხოვრების ასაწონებლად, რომ მთლიანი წყალში თავში ბლომად ეჭირათ. ნუ თუ ასეთი გამოსვლა სეიმის მიერ შეწყნარებული არ უნდა იყვეს სოციალისტურისა, მოურიდებლად რომ ამოქმედებს მუშა-გლეხ-სალდათების საზღვარი ცენტრისა და დედაქალაქელ ველიკოროსთა ახალშინის საბჭოებს, რომელნიც გაზეთის საშუალებით, თუ რეზოლიუციებით ბიძგლებენ სეიმს, რომ არ შეიწყნარონ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. იმ დროს როცა ველიკოროსთა დღემოკლე დამფუძნებელმა კრებამ მიიღო რევოლიუციის მიერ გამოცხადებული ლოზუნგი თავის გამორკვევისა რუსეთის ხალხთა ფედერატიული რესპუბლიკის დაარსებით, როცა ღალატით დაწყებული ბატონობა ჩვენში მოსკოვმა ღალატითვე დაასრულა ჩვენი ქვეყნის ბედის განსაცდელში ჩაგდებით, რა კი უბრძანა თავის ჯარს ჩვენი ფრონტის დაცლა და რუსეთში დაბრუნება, სწორედ იმ დროს ძველი რეჟიმის მეთაურლობით ჩვენს ქვეყანაში მოკალათებული ველიკოროსები მის მაგიერ, რომ სწრაფად ბლაჩნდენ თავიანთ სამშობლოს, ლენინ-ტროცკის მთავრობის მიერ მიწასთან გასწორებულს, მოჰყოლიან პოლიტიკურ ლაშქრებს, ნამდვილად კი ისწრაფიან, აღადგინონ თავიანთი ძველი ბატონობა ჩვენს ქვეყანაში, რომელიც იყო მათთვის ბლაგოდატნაია გრუზია, ხოლო მისი მკვიდრი დობროდუშნი გრუზინ, სწორეთ ისეთი სიტყვები, რომელიც ერთგვარ საყვლეფ ობიექტს წარმოადგენდა. კავკასიის ამიერ ქვეყნებში ველიკოროსები, ქართველ-სომეხ-თათართ შემდეგ, მეოთხე დიდ ეროვნებასაც რომ წარმოადგენდენ, კომპაქტად დასახლებულს და სუვერენობის უფლების მქონებელს, მაშინაც არ ჰმართებსთ მათ ასეთი დისონანსის შეტანა სეიმის პარლამენტურ ცხოვრებაში, რადგანაც ქართველთ, სომეხთ და თათართ დეპუტატებს ამოქმედებს ერთად-ერთი მისწრაფება, რევოლუციამ რომ მოუნიჭა მათ, ის საუნჯე ხელიდან არ გაუშვან და გამოიყენონ თავიანთი ცხოვრების მისაწყობად ისე, როგორც მათი პოლიტიკურ-ეროვნული ინტერესი მოითხოვს.

ჩვენ უკვე ვიცით, ჩვენს ქვეყანას რა მოუვლდება. ამისათვის ჩვენი ერის [illegible] განხორციელების საქმეში [illegible] ჩამოგვერევა, მეტადრე ხელს შეუშლიდა. თუ ჩვენი მკვდრები ვერ დავიმარხეთ და ჩვენს ცოცხლებს ვერ მოუარეთ, მაშინ დაგვარიგებს, როგორც მოვიქცეთ. სემიონოვთა ასჩვიდმეტი წლის ბატონობამ ჭკუა გვასწავლა, რომ აღარ დავიდგათ მათი უღელი.

*

სეიმში გაისმა საეკლესიო ქონების სეკულარიზაციის ხმა, ისეთი სჯულდების გამოსაცემად, რომ ეკლესიას ზედმეტი ადგილმამული და სიმდიდრე, ე. ი. ოქრო-ვერცხლი და სხვა განძეულობა ჩამოერთვას სახელმწიფოს საჭიროებისათვის.

სახელმწიფოს მართვა-გამგეობისთვის ასეთი ღონისძიების შემოღება, უეჭველია, გამოუწვევია იმას, რომ თუ ეკლესია სულის საცხონებელი დაწესებულებაა, მაშინ ზედმეტი ქონება გაალაღებს მის მსახურს, რომელიც ხორცის ცხონებასაც განიზრახავს, მოიწადინებს სახორციელოზედაც გაბატონებას კლერიკალიზმის შექმნით, რაც სახელმწიფოს ინტერესს ჰვნებს, როგორც შემაფერხებელი მის საერო სახორციელო საქმეთა წარმატებისა. ამის მიხედვით, ის სახელმწიფო, რომელიც სცდილობს თავის დაღწევას ეკლესიის გავლენისაგან, მიჰმართავს ხოლმე საეკლესიო ქონების სეკულარიზაციას. ადგილმამული ჩვენს ეკლესიას თუ არ ჩამორთმევია, ჩამოერთმევა, თვალმარგალიტის, ოქრო-ვერცხლის და სხვა ლითონის ჩამორთმევის საქმე კი ისეთია, რომ მოითხოვს ერთგვარ სიფრთხილეს. ასეთი სიმდიდრე უნდა ჩამორთმეულ იქმნეს განსაკუთრებული კომისიის მიერ, რომელიც შეაფასებს ჩამოსართმევ ნივთს არქეოლოგიისა და ხელოვნების თვალით. მაგალითად, ფულის მოსაჭრელად ხახულის ღვთის მშობლის და ანჩის ხატებს რომ შემოაცალოთ ოქრო-ჭანდაკებულება, იშვიათის ხელოვნებით შესრულებული, უდიდეს ბარბაროსობას და ვანდალიზმს ჩავიდენთ, ხოლო ქართველობას დავუკარგავთ კონკრეტ საბუთს მისი მაღალი კულტუროსნობისას.

სეკულარიზაციის სჯულდება ცხოვრებაში გატარებულ უნდა იქმნეს თანასწორად და სავალდებულოდ ყოველი ეროვნების და სარწმუნოებისთვის კავკასიის ამიერ ქვეყნების საზღვრებში.

პეტრე მირიანიშვილი

კოოპერატიულ დაწესებულებათა საყურადღებოდ

პატივცემულო ამხანაგებო!

ამიერ კავკასიის დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა, სასურსათო და ფინანსიური კრიზისი, მიმოსვლისა და გადატან-გადმოტანის საქმის არევ-დარევა, საერთაშორისო განწყობილება და სხვა მრავალი საკითხი, აუცილებელ საჭიროებად ხდის კოოპერაციისათვის შემოიმუშავოს თავისი შეხედულება ყველა საკითხის შესახებ. საჭიროა ახლა ჩვენი ქვეყნის მთელი ეკონომიური პოლიტიკის გადასინჯვა, კოოპერაციამ უნდა ჰპოვოს თავისი ადგილი ამ ახალ პოლიტიკაში.

ამ მიზნით საბჭოს ბიურომ განიზრახა კოოპერატივთა (მომხმარებელთა, საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა) და მათ კავშირთა წარმომადგენლების ყრილობის მოწვევა. ყრილობა მოხდება 13 აპრილს (ძველი სტილით, ხოლო 27 აპრილს ახალი სტილით) ქ. ტფილისში.

როგორც ხედავთ განსახილველია ძლიერ საჭირო საკითხები, ამიტომ გთხოვთ უსათუოდ გამოგზავნოთ თქვენი წარმომადგენლები შესაფერისი მოწმობებით.

ხმის უფლება ყრილობაზე ექნებათ: 1. ყრილობათა საბჭოს წევრებს, 2. ყველა კავშირების წარმომადგენლებს (როგორც საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ, ისე მომხმარებელთა): კავშირი ჰგზავნის ორ დელეგატს ყოველ ოც ამხანაგობაზე, რომელნიც კავშირში შედიან, მაგრამ საერთოდ არა უმეტეს ათი დელეგატისა.

3. იმ რაიონებში, სადაც კავშირები არ არსებობენ, ყოველი ათი ერთგვარი (მომხმარებელთა ან საკრედიტო) ამხანაგობა ირჩევს ერთ დელეგატს. ვთხოვთ გავლენიან ამხანაგობებს, რომლებიც არ შედიან კავშირში, თავს იდვან კრებების მოწვევა დელეგატის ასარჩევად.

4. თითო წარმომადგენელი წვრილ კრედიტის ყოველ ინსპექციიდან.

5. თითო წარმომადგენელი არსებულ ინსტრუქტორების კოლეგიებიდან.

ყრილობის პროგრამა:

1. მოხსენებანი ადგილობრივ მუშაობის შესახებ.
2. მიმდინარე მომენტი და კოოპერაცია.
3. სასურსათო საკითხი.
4. კოოპერატივების ფინანსიური მდგომარეობა.
5. კოოპერაციის ხელმძღვანელი ცენტრი ამიერ კავკასიის მთავრობის მოწყობის გამო
6. წვრილ კრედიტ ინსპექცია.
7. საბჭოს ბიუროს შეცვლა.
8. მიმდინარე საქმეები.

საჭირო ცნობების მიღება შეიძლება მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილებაში (ლორის მელიქოვის ქუჩა № 9), ან ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირში (მიხეილის პროსპექტი № 178)

ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოს ბიურო.

კანონი

ახალ დროთ-აღრიცხვის შემოღების შესახებ

1. 1918 წლის მარტის თვის გასვლისას მთელ ამიერ კავკასიაში შემოღებულ იქნას ევროპაში მიღებული და რუსეთშიაც ხმარებაში შემოღებული გრიგორიანული დროთა აღრიცხვა (ახალი სტილი).

2. მარტის 31-ს შუაღამის შემდეგ ჩაითვლება, რომ იწყება 1918 წლის აპრილის 14, [illegible] დღე.

3. ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებში ანუ სამრეწველოებში ყოველგვარი ჯამაგირი და ხელფასის ფული, რომელიც აპრილისთვის ანგარიშში უნდა გაეცეთ, მიეცემათ დანიშნულ დროს მხოლოდ გამოკლებული უნდა იქნას თვის ჯამაგირის 13/30 ნაწილი.

4. ყოველგვარი თამასუქების და სხვა მოვალეობათა ვადა, ხელშეკრულების ძალით თუ კანონის ძალით მიღებული სულ ერთია, რომელიც აპრილის 1-14 უნდა გასულიყო, ასეთი გასულად ჩაითვლება აპრილის 14—27. ამნაირად ყოველ ვადას უნდა მიემატოს 13 დღე.

5. კერძო ან იურიდიულ პიროვნებათა, საზოგადო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო დაწესებულებათა შორის დადებულ ხელშეკრულებათა და სხვა მოვალეობათა ძალა, რომელიც 1918 წლის ღვინობისთვის 1-ით უნდა შეწყვეტილიყო, შესაძლებელია ერთერთი მხარის მოთხოვნილებისამებრ გაგრძელებული იქნას 13 დღით კალენდარის მიხედვით ვადის შესწორების შემდეგ.

6. ყოველგვარი [illegible] ვადა, რომელიც აქამომდე [illegible] კალენდრის მიხედვით უნდა გასულიყო 1918 წლის ღვინობისთვის 1-ის შემდეგ უნდა ჩაითვალოს იმავე რიცხვებში.

7. მარტის 31-ის შემდეგ პროცენტების აღრიცხვა ყველა სახელმწიფო და კერძო საკრედიტო ქაღალდების ანგარიში (სესხად ან მიმდინარე ანგარიშში), ეს პროცენტები უნდა ჩაითვალოს 13 დღით ნაკლებად.

ღია წერილი

ციციშვილ-მღებროვ-კეკელია-საბაშვილს.

რუსეთის ფრონტების ქართველ ხიდართა კომიტეტის პრეზიდიუმი გაცნობებთ თქვენ, ბ. ბ. ნიკოლოზ ციციშვილი, ექიმი მღებროვ, კონსტანტინე ივანეს ძე კეკელია და ნიკოლოზ საბაშვილი, რომ თქვენ მიერ მიღებული კომიტეტისგან მოკლე ვადის სესხის სახით ფული ვალდებულნი ხართ დაუყონებლივ დააბრუნოთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექციაში. (ციციშვილზეა ათი თუმანი, მღებროვზე ათი თუმ. კეკელიაზე ოცდაათი თუმანი და საბაშვილზე ასი თუმანი).

კომიტეტის თავმჯდომარე **მიხეილ იზხნელი.** მდივანი **ი. დარჩია.**

P. S. ვსთხოვთ ადგილობრივ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

წერილი რედაქციის მიმართ

საზოგადოება „იმედის" გამგეობას.

რომელმაც 250 მან. გამომიგზავნა საექიმოდ, და „იმედის" მესვეურს პატივცემულ ნინო ყიფიანს უგულითადეს მადლობას ვუძღვნი.

ხანგანიძე.

—

მოქალაქე რედაქტორო! ამასთანავე გაახლებთ 25 მანეთს, რომელიც შევაგროვეთ ქართულში ნიკუშა წერეთლის ხელმძღვანელობით გამართულ საბავშვო ლოტარიით. და გთხოვთ ეს ფული გადასცეთ სოც.-ფედერალისტთა მებრძოლ რაზმს.

ამხანაგურის სალამით **ელენე წერეთელი, თამარა ვარაზაშვილი.**

თებერვლის 28

ჩავედით სასტუმრო ოთახში. ყავა, ჩაი ნაყენები ღირსებისაა. პურიც [illegible], როგორც ჩვენში. კარაქი არ არის. ეს სანოვაგე და საერთოდ ყველა ქონება ამ სახლში რუსების დატოვებულია. მოსამსახურენი ბერძნები არიან, რომელთაც ცოტაოდენი რუსული ესმით [illegible] დროს.

გადმოგვცეს ვითომც ერთი ოსმალო ოფიცრის ნათქვამი: სანამ დელეგაცია წამოვიდოდა სტამბოლიდან, პარლამენტის სხდომა ჰქონდა და დაადგინეს: კავკასიას უთუოდ უნდა მოურიგდეთ და კარგი მეზობლობა დავამყაროთ მასთანო. მაგრამ საამისო რომ არაფერი სჩანს?

შუადღეზე ოსმალეთის დელეგაცია საპარაზოდ მოვიდა. ჩვეულებრივი მისალმება იყო, ხოლო აქა-იქ შეეხენ საგანს გაკვრით. ჰკითხეს ჩვენს თავმჯდომარეს: ვინ არიან დელეგატები? [illegible] უპასუხა: ყველა პარტიის და ერის წარმომადგენლები, სეიმის მიერ ერთხმად არჩეულნიო.—ჩვენებმა ჰკითხეს: რატომ შეგვაგვიანდაო?—მათი პასუხი: ეხლა საყოველთაო არეულობაა, დროზე ნახშირი ვერ ვიშოვეთ გემისთვისო.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენმა დელეგაციამ საპასუხო ვიზიტი გადაუხადა. საერთო შთაბეჭდილება კარგია. ჩვენ არ ვცდილობთ დიპლომატიის ენით ვილაპარაკოთ, გულახდილად გამოვსთქვამთ ჩვენი აზრები და სრული იმედით მალე შეთანხმდებითო. იმათ სიტყვებში [illegible] გამოსჭვიოდა—წლობით ჩამოშორდით ბატონ რუსეთს და დაარსეთ დამოუკიდებელი სახელმწიფო. კერძოთ იმათ დელეგაციის წევრს ექიმს და [illegible] ასეთი ბაასი ჰქონიათ. ექიმი: სტამბოლში რომ ექიმი [illegible], რა არის [illegible] თქვენ?—ჩემი ძმაა.—იგი ჩემი კარგი [illegible], ერთად ვსწავლობდით. [illegible] იყავით, მალე გავრიგდებით, ჩვენ გეწვევით ბათომში (?) და თქვენ კიდევ სტამბოლშიო...

სადამოს გავიარეთ ქალაქში. სახლები ჩანგრეულია. თითქმის არც ერთი სახლი არაა, რომ ფანჯრის მინები მთელი ჰქონდეს. გზები წინად ქვით ყოფილა მოფენილი და სუფთად შენახული, ეხლა მოხრამული, ტალახიანი და გათუხნული. ქუჩები ვიწროა, სახლები მაღალი, ევროპულ გეგმაზე. ერთი [illegible] სივიწროვე. ყველა [illegible] რუსეთის ქონება [illegible] ვაგონები, ავტომობილი, სხვა და სხვა სამხედრო მოწყობილობა. ვნახეთ მოედანი, რუსეთის მიერ თავისუფლების მოედნად წოდებული. აქ წინად მშვენიერი ბაღი ყოფილა. ეხლა კი ყველაფერი გაუბედურებულია. ხეები ცხენებს დაუხრავთ, შადრევნები და შენობები სალდათებს დაუღუწავთ. ქუჩები რუსებს თავისებურად დაუნათლავთ. წარწერებია: ლიახოვსკაია, გრენოვსკაია, ვისარიონოვსკაია და სხ. მღლაზიები სულ დაკეტილია, აქა-იქ თუ შეგხვდება საწყლობინო დუქანი.

რამდენიმე ქართველი სოლომონ მეფის საფლავის სანახავად მივდიოდით. შეგხვდა ბერძნების მიტროპოლიტი. შეგვიპატიჟა სახლში. გვკითხა ჩვენი ამბები: ხომ მზადა ხართ, რომ მოულოდნელი ფეხეურება არ დაგალუპოთ თავს. რუსებმა ჩვენც დაგვღუპეს, მივენდვეთ და ეხლა ოცი ათასი ბერძენი უსხო მხარეშია აქედან გადახვეწილი.

საღამოს ჩვენს დელეგაციას თათბირი ჰქონდა: რა ნაირი უნდა იყოს ხვალინდელი ჩვენი განცხადება საზავო კონფერენციაზე მანდატის, ტერიტორიის ხელშეუხებლობის, ერთა თვითგამორკვევის შესახებ. დელეგაციამ ადრეწყვიტა ხვალ არ აღძრას ჯარების მოძრაობის საკითხი.

(შემდეგი იქნება)

სამსონ ფირცხალავა

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
[illegible] მთავარი კომიტეტისა

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
[illegible] ავადმყოფთ დილის 11—2 საათ.
[illegible] ქ. № 6.

ექიმი
მიქაბაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნის ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კიროჩნის ქუჩის შესახვევი, 21.

საბუღალტრო კურსები
გ. ქ. ტერ-დავიდოვისა
ნიკოლოზის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

[illegible]
ექიმი რევაზ ალექსანდრეს ძე
მახაბელი
იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეჩხანური ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
ა. ლ. შალამბერიძე
იღებს [illegible] და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
შინაგანი სნეულებანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათ. საღამოს 4—6-მდე მოსკოვის ქ. № 11. 294

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეზაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
ვ. გ. მეჭრაბიანცი
შინაგან ავადმყოფობა—ფილტვის—ბლექის და გულისა. ახალ რენტგენ-ელექტრო-სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, დიდი სოლიუქსი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა შინაგანი სნეულებისათვის, პნევმოტორაქსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1036

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის თავადი საავადმყოფოსი, იღებს $1^1/_2$—$3^1/_2$ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგეევის ქ. № 1. ტელ. 16—67. 1009

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. გულისა, ფილტვისა და ხახისა კლინიკებისა, სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონ-დის" პირდაპირ. 1029

ექიმი
ზ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და ძისი შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
ვ. მ. მეხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფებს [illegible] საღამოს 5—8 [illegible] კვირა დღის გარდა. [illegible] ქ. № 6 [illegible]
ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი [illegible]
[illegible] ტელეფ. 5—77 1080

მარტის 20 გაიხსნება
ახალი სამკურნალო
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილი
და ლ. მ. ნაზარეტიანცი
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
საავადმყოფოში იარსებებს კბილ საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კ ლების ტეხნიკურ ლაბორატორიით, მიხეილის პროსპექტის და კირო ნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი როჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—
ავადმყოფების მიღება ყოველ დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს
ვენერიულ და სიფილისის ავად ფების მიღება—საღამოს 5—8-
ღარიბები უფასოთ კვირაო ქალების და ბავშვების მიღება 4- ქალების და ბავშვების მიღება 4 ღარიბები უფასოდ მიიღებიან რაობით 10—12 ს.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
11—12 ს. „606" და „914
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიუ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქი ურგიული და ვენერიული (იფილ ავადმყ.)
ხ. გ. აგახაროვი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყუ სა, ყელისა და ცხვირის სნეულებ
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალ ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკ თათვის უფასოდ, კონსულტაციები ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედი ის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 10

ექიმი
პავლე არდაზიან
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინა გან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ნი. 1002

საჯარო ვაჭრობა
ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს,
რომ ხუთშაბათს, 29 მარტს 1918 წელს, დღის 1 საათზე, გამგეობი დასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა მუხრანის ბაზრის ეზოში მდებ წორის იჯარის გაცემის თაობაზე.
კონდიციის და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ქალ გეობის საადგილმამულო განყოფილების კანცელარიაში.

საჯარო ვაჭრობა
ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს,
რომ პარასკევს 30 მარტს 1918 წელს, დღის 1 საათზე, გამგეობის თანადა წრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა საქალაქო სახლში, ბებუთოვის ქუჩა № 30-ში მოთავსებულ დუქნის იჯარით გაცემის თაობაზე.
კონდიციის და ყოველგვარი სხვა ცნობების მიღება შეიძლება ქალ გამგეობის საადგილ-მამულო განყოფილების კანცელარიაში. 1

საჯარო ვაჭრობა
ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს,
რომ ხუთშაბათს 29 მარტს 1918 წელს შუადღის 12 საათზე, ქალაქის გა გეობის თანადასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა სომხების სასულიერ სემინარიის ეზოში მდებარე სასწორის იჯარით გაცემის თაობაზე.
კონდიციის და სხვა ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ქალაქ გამგეობის საადგილ-მამულო განყოფილების კანცელარიაში. 112

საჯარო ვაჭრობ
ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 28 მარტს, 19 ნაშუადღევს პირველ საათზე, ქალაქის გამგეობის თანადასწრებით გა თება
საჯარო ვაჭრობ
იჯარით არის გასაცემი საძოვარი, სახნავი და სათიბი ადგილები ქ აგარაკისა.
კონდიციის და ყოველგვარი ცნობის მიღება შეიძლება ქალ. გამგე საადგილ-მამულო განყოფილების კანცელარიაში.